ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების ზეპირი ისტორიები

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების ზეპირი ისტორიები

თბილისი

2015

პროექტი დაფინანსებულია

ევროკავშირის მიერ

კვლევა მომზადდა არასამთავრობო ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ მიერ ევროკავშირის პროექტის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მეინსტრიმინგი, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები: „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელისა“, ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და „დამოუკიდებელი ცხოვრების ახალგაზრდული ცენტრი“.

კვლევა გამოიცა ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი და მასში გამოთქმული მოსაზრებები არ შეიძლება იყოს აღქმული, როგორც ევროკავშირის პოზიცია.

კვლევის ავტორები:

ნანა გოჩიაშვილი

კვლევის მომზადებაში მონაწილეობდნენ: ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი

რედაქტორი: ნათია მენაბდე

ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი

Anti-Violence Network of Georgia

კვლევის დოკუმენტი წარმოდგენს საქართველოში მცხოვრები ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების პრობლემების იდენტიფიცირების მცდელობას. კვლევაში მონაწილე ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალები მოგვითხრობენ საკუთარი ცხოვრებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც ყოველდღიურად ექმნებათ საზოგადოებაში თუ დახურული ტიპის ინსტიტუციაში ცხოვრების დროს. ზეპირი ისტორიების საშუალებით კვლევაში მონაწილე ქალები მკითხველს პირადი, სუბიექტური გამოცდილების დისკურსით აცნობენ საკუთარ ყოველდღიურობასა და პრობლემებს, რომლებიც უკავშირდება მათ ურთიერთობას ოჯახთან და საზოგადოებასთან.

კვლევის რესპონდენტების კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით შეცვლილია მათი სახელები, ასაკი, გეოგრაფიული ადგილები და იდენტიფიცირების შესაძლებლობის გამომწვევი სხვა ფაქტორები.

გვანცა, 29 წლის

21 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მოვხვდი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტრესი იყო. წამლების მიღების ფონზე ექვსი თვით შემიწყდა მენსტრუაციული ციკლი. ისიც კი ვიფიქრე, რომ ორსულად ვიყავი. დედას ვუთხარი ამის შესახებ და მან ექიმთან წამიყვანა. ჩამიტარეს ჰორმონალური გამოკვლევები, ყველაფერი წესრიგში აღმომაჩნდა და მიზეზი ვერ დავადგინეთ. დისპანსერში ფსიქიატრთან ვიზიტის დროს აღვნიშნე ამ პრობლემის შესახებ და მხოლოდ მაშინ გავიგე, რომ ამის მიზეზი ის წამლები იყო, რომლებსაც ვსვამდი, ჩემი ფსიქიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. იქამდეც ხომ შეიძლებოდა ამის თქმა, გვერდითი მოვლენების ახსნა. მაშინ ვიფიქრე პირველად, რომ **ჩვენი, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალების რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხი ფსიქიატრების ყურადღებისა და ინტერესის საგანი არ იყო. ისინი ფიქრობენ, რომ, თუ ქალს აქვს ფსიქიკური პრობლემები, მას არა აქვს უფლება, იფიქროს შვილის ყოლაზე, სქესობრივ ცხოვრებაზე; თითქოს შენ ადამიანი აღარ ხარ და ამის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლებაც არ გაქვს.** გასაგებია, რომ როდესაც კრიზისულ მდგომარეობაში ხარ, ამ დროს რთულია ასეთი საკითხების ახსნა, თუმცა, ესეც არ არის გამართლებული მიდგომა. ვფიქრობ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიაწოდონ ინფორმაცია ადამიანს მისი როგორც ფსიქიკური, ისე სომატური ჯანმრთელობის შესახებ. როცა პაციენტის მდგომარეობა კრიზისულია, უნდა დაუკავშირდნენ მისი ოჯახის წევრებს. ასეთი რამ არ მომხდარა. ამის გამო დედაჩემი ისეთ დღეში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა.

ყველაზე დიდი სტრესი არაინფორმირებულობის გამო მქონდა. ვფიქრობდი, ორსულობის შემთხვევაში, რა გავლენას მოახდენდა ბავშვზე ფსიქოტროპული წამლები. ასეთ ფონზე მდგომარეობიდან გამოსვლაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს წამლები, რომლებსაც ვიღებთ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალები საქართველოში. ვფიქრობ, სხვა ქვეყნებში აღნიშნული საკითხი ისე მწვავედ არ დგას ქალების წინაშე, როგორც ჩვენთან. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გამოსავალი მედიკამენტის შეცვლა ან დოზის შემცირებაა. მე, მაგალითად, შევიცვალე წამალი და ბევრად უკეთ ვარ. ადრინდელ წამლებს როდესაც ვიღებდი, ჯერ ერთი, დარღვეული მქონდა მენსტრუაციული ციკლი, თანაც, ისინი იწვევდა მუდმივ ძილიანობას, მეხსიერების პრობლემებს.

ყოველივე ამის გამო ბოლოს წამლების მიღება შევწყვიტე. ჩემი ფსიქიატრი მეუბნებოდა, რომ დოზას გამიორმაგებდა, რათა ეს პრობლემები მომხსნოდა, მაგრამ ვფიქრობდი, რომ პირიქით, წამლების მაშინდელი დოზაც კი ჩემზე ცუდად მოქმედებდა. ერთხელ

ვუთხარი, რომ მეორე დღეს სამსახურში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა და ძალიან ვნერვიულობდი. მან ერთადერთ გამოსავლად მაშინვე წამლის გაორმაგებული დოზის მიღება მიიჩნია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ თუ შენს დიაგნოზს უარყოფ და ცხოვრების გაგრძელებას შეეცდები, ექიმების აზრით, ეს ადასტურებს, რომ მდგომარეობა გაგიმწვავდა. **თუ ადამიანი ერთხელ მოხვდება ფსიქიატრიულში და მის სამედიცინო ისტორიაში არსებობს ჩანაწერი ამის შესახებ, მისი ცხოვრება დასრულებულია.** ყველაზე კარგი გამოსავალი ამ შემთხვევაში არის ის, რომ შეეგუო შენს მდგომარეობას, და მიიღო წამალი, რომელსაც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში გაძლევენ. შეწინააღმდეგების შემთხვევაში, უფრო რთულ სიტუაციაში აღმოჩნდები. ხშირად ყოფილა, რომ წინააღმდეგობის გაწევის დროს, ყველა პაციენტის თანდასწრებით, ჩხუბით, გინებით გაუკეთებიათ ნემსი. ასე რომ, მშვიდად უნდა შეხვდე სამედიცინო პერსონალის თხოვნას, და მიიღო წამალი, რაც ფსიქიატრიული დაწესებულებიდან შენი მალე გამოშვების საფუძველი გახდება.

ჩემს ცხოვრებაში ყველაზე კარგი პერიოდი დაიწყო მაშინ, როდესაც ფსიქორეაბილიტაციის ცენტრში მოვხვდი, სადაც ვნახე, როგორი უნდა იყოს ნორმალური გარემო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებისთვის. იქ არ არსებობდა ბარიერი პაციენტებსა და პერსონალს შორის, იყო საოცრად ადამიანური დამოკიდებულება და მიდგომა ჩვენდამი. აი, იქ დავიწყე უკვე ფიქრი, რომ მთლად დაკარგული ადამიანი არ ვიყავი.

იქამდე **მეორეხარისხოვან ადამიანად ვგრძნობდი თავს, ჩემი ექიმი ჩემთან ჩემ შესახებ არც კი საუბრობდა, თითქოს რაღაც საგანი ვყოფილიყავი; დედაჩემს ისე ელაპარაკებოდნენ ჩემზე, თითქოს მე იქ არ ვყოფილიყავი. შეიძლება ისე გამოვიყურებოდი, რომ არაფერი მესმოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის. როდესაც პირველად ხვდები ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, ეს ადამიანისათვის ძალიან დიდი შოკია; ამას ემატება შენი პიროვნების უგულებელყოფა ექიმების მხრიდან.**

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ადამიანებს ძალიან დაბალი თვითშეფასება აქვთ. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. სანამ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოვხვდებოდი, ზოგადად, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანი ვიყავი; შემდეგ, როდესაც იცი, რომ საკუთარი თავის გაკონტროლება აღარ შეგიძლია, რწმენაც გეკარგება, თითქოს ოჯახში ხმის ამოღების უფლებაც კი აღარ გაქვს, ახლობლებში ავტორიტეტი გეკარგება, ყველა ეჭვით გიყურებს, გითვალთვალებენ.

მე გამიმართლა, რადგან გამოვედი ამ მდგომარეობიდან, ხანგრძლივი პერიოდის მერე აღვადგინე ადრინდელი ურთიერთობები, დავიბრუნე რწმენაც და ავტორიტეტიც,

მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება. როდესაც ადამიანს, განსაკუთრებით ქალს, აქვს ფსიქიკური პრობლემები, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ მას აღარ გააჩნია საკუთარი შემოსავალი; არსებობს ძალიან დიდი ალბათობა, რომ ოჯახში აღარ გაითვალისწინებენ მის აზრს და ამ პიროვნებას უფრო მეტად გააკონტროლებენ.

სამჯერ მოვხვდი სტაციონარში, ბოლოს - 2009 წელს. ჰიგიენური მდგომარეობა იყო საშინელი, აბაზანაში ყველაფერს რამდენიმე მილიმეტრი სისქის ჭუჭყი ედო, პაციენტების უმეტესობას ტილები ჰყავდა. მათ შორის გავრცელებული იყო ქურდობა, მაგრამ პერსონალი ამას ყურადღებას არ აქცევდა. ერთი პაციენტი წამლის გადაჭარბებული დოზის გამო გარდაიცვალა. ჩაკეტილი ხარ ოთახში, ეზოშიც კი არ გიშვებენ. ყველაზე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდები, თუ არ ეწევი. მე, მაგალითად, არ ვარ მწეველი და ურთულეს მდგომარეობაში ვიყავი. წარმოიდგინეთ დახურული დაწესებულება, გისოსები ფანჯრებზე, ყველა ეწევა, თანაც წამლებს ჭარბი დოზით გაძლევენ და იძულებული ხდები, მთელი დღე ასეთ გარემოში ისუნთქო. იქ შეუძლებელია, ადამიანი მდგომარეობიდან გამოვიდეს. ცალკე პრობლემა იყო საჭმელი. ჩემთვის, მაგალითად, ოჯახის წევრებს მოჰქონდათ საჭმელი, მაგრამ იქ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ ჰყავდათ ახლობლები ან ჰყავდათ, მაგრამ არ აკითხავდნენ.

სტაციონარში ჩემი ბოლო მოხვედრის დროს მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებული იყო, თუმცა, უფრო რადიკალური ცვლილებები უნდა გატარებულიყო. დღემდე, რეალურად, ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხვედრილი ადამიანები ჩაკეტილი არიან ოთახებში. სანამ ასეთ გარემოში არ მოხვდები, ვერ გაიგებ, რას ნიშნავს ეს. ამ დროისთვის უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებული ვიყავი ჩემს უფლებებში. მიუხედავად იმისა, რომ კრიზისული მდგომარეობა მქონდა, არ მინდოდა წამლების მიღება. ვფიქრობ, ადამიანს უნდა ჰქონდეს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. რატომ არ შეიძლება ადამიანმა თავად გადაწყვიტოს, რა არის მისთვის უკეთესი; ანუ თუ არა ვარ კრიმინალი, არავის ვერჩი, რატომ უნდა ვიყო იძულებული, მივიღო წამლები?!

ახლაც, როდესაც კრიზისმა გაიარა, ვფიქრობ, რომ მაშინ ძალიან სწორად ვაფასებდი ჩემს მდგომარეობას და მართალი ვიყავი, რომ წამლების მიღება არ მინდოდა. შეიძლება ადამიანმა სრულიად ლოგიკური არჩევანი გააკეთოს, მიუხედავად მისი ფსიქიკური მდგომარეობისა. ისე მოხდა, რომ, სამწუხაროდ, ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მესამედ მივედი ფსიქიატრიულამდე, გამიკეთეს ნემსი იძულებით, რადგან წამლების მიღება არ მინდოდა. თან ვფიქრობდი, სტაციონარში დავრჩენილიყავი, რომ სხვებისთვის და საკუთარი თავისთვის რაიმე საფრთხე არ შემექმნა, მაგრამ წამლების

მიღება სრულიად გაცნობიერებულად არ მინდოდა. ამიტომ ვითხოვე ექიმთან გასაუბრება, მაგრამ ამის საშუალება არ მომცეს და, პირიქით, უფრო აგდებულად მექცეოდნენ, ბოლოს კი სხვა პაციენტების თანდასწრებით კვლავ გამიკეთეს ნემსი.

ყველაზე ცუდი წამლების მიღებაში ის არის, რომ ამ დროს სანიტრები საშინლად გეპყრობიან. ჰგონიათ, რომ რადგან ამ დროს წამლების ზემოქმედების გამო სრულიად გათიშული და გარესამყაროს მოწყვეტილი ხარ, მათი დამოკიდებულების აღქმის შესაძლებლობაც არ გაქვს. სწორედ ამიტომ ასეთ დროს სანიტრები აბუჩად გიგდებენ, გაყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, თითქოს სრულიად უვარგისი ადამიანი იყო. მეც სწორედ ასე მექცეოდნენ. თუმცა, **მე ასეთ მდგომარეობაშიც ვცდილობდი საკუთარი აზრის დაფიქსირებას. მათი ქცევა და სიტყვები რომ არ დამვიწყებოდა, რაღაცებს ტუალეტის ქაღალდზე ვიწერდი. წერის სხვა საშუალება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არ არის.** მერე, როდესაც ნემსის ზემოქმედების მდგომარეობიდან გამოდიხარ, შენდამი მათი დამოკიდებულება სულ სხვანაირი ხდება. ექიმებს რაც შეეხება, ორი კვირა ვიყავი იქ, მხოლოდ ერთხელ ვნახე ექიმი და ისიც - ჩემი ინიციატივით.

ექიმები სხედან კაბინეტებში და საკუთარი სურვილით არასოდეს მიდიან პაციენტთან, არ აინტერესებთ, რა განცდები გაქვს, რისთვის და ვისთან საუბრობ. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, რადგან, პირველ რიგში, უნდა გაიაზრო შენი პაციენტის პრობლემა. ამის სანაცვლოდ, თითქოს უნივერსალური რეცეპტი აქვთ შემუშავებული, რომელსაც ნებისმიერ ადამიანთან იყენებენ. პაციენტებთან არ ხორციელდება ფსიქოლოგიური, სარეაბილიტაციო ხასიათის მუშაობა, მათ არავინ ესაუბრება. მთავარია, წამალი მიიღო. ექიმების ძირითადი მოვალეობა არის ის, რომ დაუსრულებლად წერონ ისტორიები. ისინი პაციენტს არ ესაუბრებიან მისი მდგომარეობის შესახებ, ამიტომ ძალიან საინტერესოა, რას წერენ.

საერთოდ, ყველა შემოწმებაზე ასეა - დიაგნოზს იგებენ და წერენ ერთ გვერდს, მაშინ, როცა ერთი სიტყვაც არ მითქვამს, ჩემთვის ჩუმად ვზივარ. ალბათ, ჩემს ისტორიაში ძალიან საინტერესო რაღაცებია ჩაწერილი, მაგალითად, ის, რომ ინტელექტი საშუალოზე დაბალი მაქვს. ერთ-ერთი შემოწმების დროს სწორედ ასე ჩაწერეს, ისე, რომ ჩემი ინტელექტი არავის შეუფასებია. როგორ შეიძლება ასეთი დასკვნის გაკეთება, როცა პაციენტთან უშუალო შეხება არ გაქვს.

წარსულში თუ გქონია ჰოსპიტალიზაციის შემთხვევა, მერე სულ უკან-უკან მიდის შენი ცხოვრება; ანუ ყველაფერი დამოკიდებულია ამ წარსულზე და არა კონკრეტულ სიტუაციასა და შენს შესაძლებლობებზე. ექიმებისთვის საკმარისი იყო ჩემი დიაგნოზი, რაღაც ხომ უნდა დაეწერათ და წერდნენ. **კომისიის შემოწმებაზე რომ გავდიოდი ხოლმე,**

ჩემს მონაყოლზე სულ იცინოდნენ. ვიცინოდი მეც მათთან ერთად, თუმცა, რეალურად, ძალიან განვიცდი მათ ასეთ დამოკიდებულებას და თავს ცუდად ვგრძნობ. ფსიქიატრებთან ჩემი ურთიერთობის მანძილზე მხოლოდ ერთხელ შემხვდა ნორმალური ექიმი, რომელიც არ დამცინოდა, მაგრამ ისიც არ მისმენდა, მხოლოდ წამლების გამოწერით კმაყოფილდებოდა.

განათლებით ქიმიკოსი ვარ და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხვედრამდე ლაბორატორიაში ვმუშაობდი. ახლა ვიცი, რომ ჩემი კარიერა ყველანაირად დასრულებულია, მასწავლებელი ვერ ვიქნები, ვერც ლექტორი, რადგან ჩვენი კანონმდებლობა ამის საშუალებას არ იძლევა. ეჭვი მეპარება ასევე, რომ ლაბორატორიაში შევძლო მუშაობა, რადგან იქაც სახიფათო ნივთიერებებთან უნდა მქონდეს შეხება. ოფიციალური აკრძალვა არ არსებობს, მაგრამ თუ ჩემი დიაგნოზის შესახებ ეცოდინებათ, იქ არავინ გამაჩერებს. თუმცა, ვფიქრობ, რომ მასწავლებლობის ან ლექტორობის აკრძალვა არ არის სწორი. ჯერ ერთი, კრიზისული მდგომარეობა უცებ არ ვითარდება; ადამიანი, როგორც წესი, საზოგადოებრივი სივრციდან ქრება, მერე კი თანდათანობით მძიმდება სიტუაცია. ისე არ ხდება, რომ მე გაკვეთილზე მივიდე ჩაქუჩით და დავიწყო ჩემი მოსწავლეების ცემა. არა მგონია, ამ აკრძალვას საფუძველი ჰქონდეს, ლექტორობის შემთხვევაში - მით უმეტეს. მანქანის ტარების უფლებაც არა მაქვს. მოკლედ, უამრავ შეზღუდვას გვიწესებენ ცხოვრებაში.

სწორედ ჩემს დიაგნოზს ვუკავშირებ ერთ-ერთ ყველაზე მძიმე შემთხვევას ჩემს ცხოვრებაში. ორი წლის წინ გავხდი გაუპატიურების მსხვერპლი. საერთოდ, ვფიქრობ, რომ ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალი ყველაზე უფრო დაუცველია. ასეა ყველგან. ამის მიზეზი არის ის, რომ შეიძლება ეს ადამიანი ისეთ ადგილას და ისეთ დროს აღმოჩნდეს, სადაც რეალური საფრთხე არსებობს. თანაც, გარეგნულად ისე გამოიყურებოდეს, ჩანდეს, რომ სრულიად დაუცველია და, თუკი იკადრებ, რასაც გინდა, იმას უზამ. ჩემი შემთხვევა ამ მხრივ ტიპიურია, იმიტომ რომ ვიყავი კრიზისულ მდგომარეობაში. ეს ნიშნავს, რომ მესმოდა რაღაც ხმები, მაგრამ ძალიან ქაოტურად. ტვინი ვერ უძლებს ამ ყველაფერს და ჩნდება პრობლემები. მე ვიფიქრე, რომ ჩემს ერთ-ერთ ახლობელს ემუქრებოდა საფრთხე, ის ქუჩაშია, მანქანა ეჯახება და მე მეძახის. გავიქეცი სახლიდან ჩუსტებით. საღამო იყო, ჯერ კიდევ არ ბნელოდა. მოკლედ, გავიქეცი, მინდოდა იმ ქუჩის მოძებნა, სადაც, ჩემი წარმოსახვით, ეს ამბავი ხდებოდა. სანამ იმ ადგილზე მივედი, უკვე დაღამდა. ღია „პადვალი“ იყო და უცებ შიგნით ჩავვარდი. მაგრად დავეცი. საბოლოოდ კი გამოვედი იქიდან, მაგრამ დაზიანებები მქონდა, თანაც ერთი ჩუსტი დავტოვე იქ, სიბნელეში ძებნა ვეღარ დავუწყე. მერე ჩამესმოდა ხმები, რომ ჩემი სახლისკენ უნდა წავსულიყავი. ასეთ დროს ძალიან

პასიურია ადამიანი, ძილი, როგორც წესი, დარღვეულია, ტვინი კარგად არ მუშაობს, შენი ქმედებების კრიტიკულად გააზრებას ვერ ახერხებ, კარგავ რეალობის შეგრძნებას და საკუთარი თავის დაცვის უნარს. მოკლედ, **დავჯექი ერთ-ერთ ბაღში სკამზე. ხუთმა ახალგაზრდა ბიჭმა გამოიარა; დამინახეს, მაგრამ არ წავედი. ჩვეულებრივ, სხვა ადამიანი წავიდოდა. დაიწყეს შეკითხვების დასმა, რატომ ხარ აქ, რისთვის ხარო. არაფერს ვეუბნები. აშკარად მიხვდნენ, რომ დაუცველ მდგომარეობაში ვიყავი, ცალი ჩუსტით. ჩემთვის გასაგები იქნებოდა, რომ ადამიანი ცუდ სიტუაციაშია და დახმარება სჭირდება. თუმცა, ასე არ მოხდა და მათი მხრიდან გავხდი გაუპატიურების მსხვერპლი. გაქცევას ვცდილობდი, მაგრამ სადღაც ბინაში ჩამათრიეს. ძლივს დავაღწიე თავი იქაურობას.**

ამის შემდეგ წავედი ჩემს მეგობრებთან. ღამე იქ გავატარე. თუმცა, იმ მომენტში უფრო სხვა რაღაცებზე მქონდა გონება გადართული. მეორე დღეს დედაჩემი მოვიდა, დაიწყო გამოკვლევა, რატომ ხარ მეგობრებთან, რატომ წახვედი სახლიდანო. არაფერი მითქვამს. ახლა დედაჩემმა უკვე ყველაფერი იცის, ოჯახის დანარჩენი წევრებისთვის ჯერ კიდევ არ მომიყოლია. ჩემებს ვთხოვდი, რომ ეკლესიაში მინდოდა წასვლა, მათ კი წამიყვანეს ექსტრასენსთან, ბოლოს კი - ფსიქიატრიულში. სულ სხვა პრობლემების წინაშე ვიყავი იმ დროს და ალბათ ამის გამო არ ვთქვი იმ საშინელი ფაქტის შესახებ. ხშირად მიფიქრია, რამდენად დაცულები არიან სხვა ადამიანები ასეთი ძალადობისგან. მიჭირს სახეების დამახსოვრება, ვერ გავიხსენებ, არ ვიცი, ვინ იყვნენ ისინი. კი ვიცი, სად მოხდა, მაგრამ არ ვიცი, ვინ მონაწილეობდა ყველაფერ ამაში. რა უნდა დამემტკიცებინა. რომ მცოდნოდა, შეიძლება პრევენციის მიზნით წავსულიყავი კიდეც პოლიციაში (სხვები მაინც რომ დამეცვა), მაგრამ ვერ ვიტყოდი, ვინ იყვნენ ის მოძალადეები.

პირველად ფსიქიატრიულში რომ მოვხვდი, მეგონა, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი დამთავრდა-მეთქი. განათლებას ყოველთვის დიდ ყურადღებას ვაქცევდი. ვოცნებობდი, რომ მეცნიერებაში ახალ აღმოჩენებს გავაკეთებდი. ეს დიაგნოზი, ეს მდგომარეობა იმ დროს ნიშნავდა, რომ ყველაფერი დავკარგე და არაფერი დამრჩა ცხოვრებაში. ასე იმიტომ ვფიქრობდი, რომ არ მქონდა სრული ინფორმაცია ამ დაავადებაზე, რომ შეიძლება მისი მართვა, მდგომარეობიდან გამოსვლა. ინფორმაციის ნაკლებობისა და წამლებით გამოწვეული ცუდი ეფექტების გამო მქონდა ასეთი საშინელი განცდა, რომელიც ძალიან დიდხანს გამყვა, სანამ არ მოვხვდი რეაბილიტაციის ცენტრში, სადაც ბევრი საინტერესო ადამიანი ვნახე.

ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალებში სოციალურ გარემოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. როცა შენი მეგობრები ხედავენ, რა მდგომარეობაში აღმოჩნდი, ისეთი ავტორიტეტი აღარ ხარ მათთვის, ავტომატურად იკარგება მათი ნდობა. როგორი კარგი მეგობრებიც არ უნდა გყავდეს, მათთვის მაინც ძნელია ყველაფრის გაგება. ჩემს

მეგობრებს უარი არ უთქვამთ ჩემთან კონტაქტზე, მაგრამ ვიფიქრე, რომ შეიძლებოდა, ამ ადამიანების რეპუტაცია შემელახა, თუ მათ სიახლოვეს ვიქნებოდი. ამიტომ თავად გადავწყვიტე, რომ ამ ურთიერთობების გაგრძელება არ ღირდა.

პირველად ფსიქიატრიულში რომ მოხვდი და ვნახე, თუ რა საშინელ მდგომარეობაში იყვნენ ადამიანები XXI საუკუნეში, ჩემთვის ეს იყო დიდი შოკი. იქამდე არასოდეს მიფიქრია ადამიანის უფლებებზე, მათ დარღვევებზე. ამ ყველაფრისგან ძალიან შორს ვიყავი, რაღაც თეორიებზე ვფიქრობდი. მერე რომ ვნახე, რა ხდებოდა ირგვლივ, ძალიან გავბრაზდი. ჩემი პირველი ემოცია სწორედ გაბრაზება იყო. ჩვენ შეიძლება რაღაც დაგვემართა, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ასე მოგვექცნენ. რა დავაშავეთ, აქ რომ ვართ ჩაკეტილები, როგორც პატიმრები, უარესიც, როგორც ცხოველები?! არც გარეთ გასვლის უფლება გვაქვს, არც ინფორმაციის მიღება შეგვიძლია. მოკლედ, ძალიან გავბრაზდი და გადავიფიქრე, მეცნიერი გამოვსულიყავი, თან, ჩემი დიაგნოზიდან გამომდინარე, რეალური შანსიც არ მქონდა, ჩემი პროფესიით მემუშავა. ამიტომ შეიცვალა ჩემი ცხოვრების პრიორიტეტები.

ამის მერე მოვხვდი რეაბილიტაციის ცენტრში. იქ არსებული დადებითი გარემოს წყალობით ხალხთან კონტაქტიც დავამყარე. ზოგადად, უფრო ადვილია იმ ადამიანებთან საუბარი, რომლებმაც ეს ყველაფერი გადაიტანეს. მათსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის იმდენად დიდი განსხვავებაა, რომ ვერ წარმოიდგენთ. განცდების დონეზე თითქოს ერთი და იმავეს გადატანა მოგვიწია. ისინი არ ფიქრობენ, თითქოს თვითონ სხვებზე უკეთესები იყვნენ, ისეთი ამპარტავნებიც არ არიან, როგორიც დანარჩენები. შეიძლება ადამიანი ამპარტავანი არ იყოს, მაგრამ, უბრალოდ, არ ესმოდეს შენი. ამიტომ მასთან შენს მდგომარეობაზე საუბარს ვერ დაიწყებ. ძალიან საინტერესო ხალხთან მქონდა ურთიერთობა, სხვადასხვა აღმსარებლობის, მრავალფეროვანი შეხედულებების მქონე ადამიანებთან, რომლებიც რაღაც განსხვავებულს ეძებენ. შეიძლება ეს უნდა გამომეცადა და მერე ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვლილიყო. მაინც ღირდა ამ ყველაფრის გადატანა. საოცრად იზრდები სულიერად. მანამდე თუ ამპარტავანი იყავი, ან, უბრალოდ, არ ფიქრობდი სხვა ადამიანებზე, იმის შემდეგ, რაც გადაიტანე, აბსოლუტურად გეცვლება აზროვნება.

დღესდღეობით წარმატებული კარიერა მაქვს. დამოუკიდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ხედავ, რომ ადამიანებისთვის, რომლებიც გესაუბრებიან, ხარ ჩვეულებრივი ადამიანი და არა პაციენტი, ნივთი ან უცნაური არსება. ხშირად მიწევს საზღვარგარეთ წასვლა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სიახლეა, რომელიც უცნაური განცდებითაა სავსე. არასოდეს მიფიქრია, რომ ასე ხშირად მექნებოდა ურთიერთობა სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან. დღესდღეობით ვარ ერთ-ერთი ორგანიზაციის

ხელმძღვანელი. ეს ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპია. სიმართლე გითხრათ, ამისთვის ბოლომდე მზად არ ვიყავი, რადგან ჯერ კიდევ მიჭირს სოციუმთან აქტიური კონტაქტი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ახალი გამოწვევაა ჩემს ცხოვრებაში და ამიტომ დავთანხმდი.

იქიდან გამომდინარე, რომ ყველაფერი დამოკიდებულია არა ჩემზე, არამედ ჩემს დიაგნოზზე, კონკრეტული გეგმები არ გამაჩნია. ზოგადად, როდესაც ადამიანს ექმნება ფსიქიკური პრობლემები, გეგმებს ნაკლებად ადგენს. უბრალოდ, მაქვს იმედი, რომ მალე რაღაც მნიშვნელოვანი მოხდება, იქნება სიახლე და მზად ვარ, ამისთვის ყველაფერი გავაკეთო; მაგრამ, პრინციპში, ამაზე ბევრს არ ვსაუბრობ. რაც დანამდვილებით ვიცი, არის ის, რომ მინდა, ადამიანებს დავეხმარო, განვავითარო ჩემი ახლანდელი შესაძლებლობები. მე მაქვს ვალდებულებები, რომლებიც უნდა შევასრულო. ავირჩევ ჩემს გზას და დავიწყებ საქმიანობას იმ მიმართულებით, რომელიც სწორად მიმაჩნია.

ლელა, 34 წლის

ბავშვთა სახლში გავიზარდე. შემდეგ რამდენიმე ინსტიტუციაში მომიხდა ცხოვრება. სამი წელია, რაც მეუღლესთან ერთად აქ ვცხოვრობ. ჩემი შვილიც სამი წლისაა. ახლა ყველაზე მეტად მინდა, რომ ჩემს შვილთან ერთად ვიცხოვრო. ეს სურვილი განპირობებულია იმით, რომ რეალურად მაქვს ამის შესაძლებლობა და უნარი არა მარტო ფიზიკურად ან მორალურად, არამედ ფინანსურადაც. მე და ჩემი მეუღლე მუდმივად დასაქმებულები ვართ და საკუთარი შემოსავალი გვაქვს.

ამჟამად ჩემი შვილი მინდობით აღზრდის პროგრამაშია ჩართული. ბავშვს ხშირად ვნახულობ. ახლა იმერეთშია ის ოჯახი, სადაც ჩემი შვილი იზრდება. სამი კვირაა, არ მინახავს. შარშანაც იყო პერიოდი, რომ ექვსი თვით იყვნენ სოფელში წასული და ვერ ვნახულობდი. როცა აქეთ არიან, ვუთანხმდები და კვირაში ორჯერ მაინც მივდივარ. როგორც წესი, ზაფხულობით მუდმივად გადიან ქალაქიდან. ის ადგილი კი, სადაც იმყოფებიან, საკმაოდ დაშორებულია ჩემი საცხოვრებლიდან, რის გამოც თვეობით არა მაქვს ჩემი შვილის ნახვის შესაძლებლობა.

ფული თუ მაქვს, ტელეფონითაც ვეკონტაქტები. ხანდახან მე და ჩემს მეუღლეს სამსახურში დასვენების დღეები არ გვაქვს. ამ დროს ჩვენს უფროსს ვუთანხმდებით და მაინც მივდივართ შვილის სანახავად. ბავშვთან მიმაქვს ტკბილეული, ჩასაცმელი, ვუგროვებ კანფეტებს, სათამაშოებს, ხილს. რა ვქნა, აბა. მასთან ცხოვრების საშუალება რომ არ მაქვს, აქედან ვზრუნავ. ახლაც ერთი პარკი ტკბილეული მაქვს უკვე

მოგროვებული. ჩემი შვილის გარდა, იმ ოჯახში კიდევ ორი ბავშვი ცხოვრობს. იმათთვისაც ყოველთვის მიმაქვს კანფეტები, მარტო ჩემს შვილს ხომ არ მივუტან.

სახელმწიფოს მადლობელი ვარ, რომ გვაჭმევს და გვასმევს, მაგრამ ჩემი ცხოვრებით მინდა ვიცხოვრო, დამოუკიდებლად, ჩემს შვილთან და ქმართან ერთად. დავიღალე, სულ მოლოდინში ვარ, სულ მპირდებიან და არაფერი გამოდის. ვიღას იმედი უნდა მქონდეს, მარტო ღმერთის იმედი მაქვს ახლა. პატრონი არ მყავს და ამიტომ ვარ ასე დაჩაგრული. ჰაერში ვარ გამოკიდებული, ქუჩაში რომ გამიშვან, არსად წასასვლელი არა მაქვს.

თითქმის ყველა საოჯახო და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულება შემიძლია. ერთი პერიოდი ბავშვთა სახლში ვმუშაობდი დამლაგებლად. ყველაფერს, რაც საჭიროა ოჯახის მოსავლელად, მე ვაკეთებ. თუმცა, იმის გამო, რომ ბავშვთა სახლში ვარ გაზრდილი და არა ოჯახში, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ ვიცი, მაგრამ ჩემს შვილს ყველაფერს გავუკეთებ. მე მოვიკლებ და მას ყველაფრით დავეხმარები. მეც უდედმამოდ გავიზარდე და ჩემს შვილს ისე ვერ მოვექცევი, როგორც მე მომექცნენ. მინდა, რომ კარგი ადამიანი გაიზარდოს, გვერდში დაგვიდგეს და შეგვიწყოს ხელი, როცა დიდი გაიზრდება.

ყველაზე მეტად ოზურგეთში მინდა ცხოვრება, მაინც ჩემი კუთხეა. როგორც ვიცი, წარმოშობით აქედან ვარ. მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთი პანსიონატში გავიცანით. იქვე გადავიხადეთ ქორწილი, პატარა სუფრა გაგვიშალეს. რვა წელია, ცოლ-ქმარი ვართ, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან, დღემდე არ გვიკამათია. ყველანაირად ვუწყობთ ერთმანეთს ხელს. სამსახურში რასაც გამოვიმუშავებთ, ერთად ვგეგმავთ, როგორ მოვახმაროთ ბავშვს; ვცდილობთ, ცოტა დანაზოგიც დავაგროვოთ. არ ვიცი, როდის რა მომივა და არ მინდა, ჩემი შვილიც უსახლკაროდ გაიზარდოს. თავიდან შვილს არ ვაჩენდით. პანსიონატში გაჩენილ ბავშვებს ბავშვთა სახლებში აბარებდნენ ან აშვილებდნენ. ასეთ პირობებში შვილს ვერ ვაცხოვრებდი. თუმცა, დადგა მომენტი, რომ ღმერთმა გვაჩუქა შვილი.

საოჯახო ტიპის სახლშიც შემომთავაზეს ცხოვრება, მაგრამ არ დავთანხმდი. მინდა, ჩვენი შემოსავალი გვქონდეს, ამასთან, აქედან ძალიან მოშორებული ვიქნები, თან ბავშვიანებს იქ არ აჩერებენ. ამიტომ **არ მინდა საოჯახო ტიპის საცხოვრებელი, საკუთარი მირჩევნია. ვერ შევეგუები, რომ სხვაზე ვიყო დამოკიდებული, სხვამ მარჩინოს, მინდა, ჩემს მეუღლესა და შვილს თავად მოვუარო.**

ბავშვი რომ გავაჩინე, ჩემი მეუღლე ძალიან მეხმარებოდა, წვიმა იყო თუ თოვლი, მოდიოდა, საჭმელი მოჰქონდა. ერთი თვე იყო ჩემთან ბავშვი, მერე ბავშვთა სახლში გადავიყვანე დროებით, სანამ ბინას ვიშოვიდი, მაგრამ ვერაფერი ვიშოვე. ამის მერე

უჩემოდ, ისე, რომ არც მკითხეს, წაიყვანეს სხვა ოჯახში, მინდობით აღზრდის პროგრამის ფარგლებში. დირექტორმა გამაგებინა, ძალიან ვინერვიულე. მივედით ამ ოჯახში, ბავშვი სიცხიანი დაგვხვდა, სველი ტანსაცმელი ეცვა. არ მომცეს უფლება, რომ გამომეცვალა. ჩემმა დირექტორმა გამოუცვალა.

ბავშვს არ აცმევდნენ, არ ექცეოდნენ ისე, როგორც საჭიროა, სულ მშრალ საჭმელს აჭმევდნენ. როცა ვნახულობდი, ხელები სულ ჭუჭყიანი ჰქონდა, ფრჩხილები - დაუჭრელი. ერთხანს პამპერსი არ ეცვა. როგორც მშობელს, უფლება მაქვს, ეს ვერ ავიტანო. იმ ოჯახს ვუჩივლეთ. მერე ის საჩივარი გამოვიტანეთ და შევხვდით სხვა ოჯახს, სადაც ახლა არის ჩვენი შვილი.

ძალიან კარგად მაქვს გაცნობიერებული, როგორი იქნება დამოუკიდებლად ცხოვრება. ვიცი, ძალიან ბევრი შრომა მოგვიწევს, რომ ბავშვი ვარჩინოთ, მაგრამ ყველა ოჯახი ასეა. ყველაფერს ვეცდები, მე მოვიკლებ, იმას კი არაფერს გავუჭირვებ. ახლა სადაც ცხოვრობს, ცუდი ოჯახი კი არ არის, მაგრამ სხვებს როცა ვუყურებ, საკუთარი შვილები თავისთან რომ ჰყავთ, მეც ძალიან მინდა ასე. თან იზრდება და ხვდება ყველაფერს. კი იცის, დედა და მამა რომ ჰყავს, დედას მეძახის. ძალიან უხარია, რომ გვხედავს. როცა გაიზრდება, ყველაფერს ავუხსნი. ვეტყვი, მხოლოდ იმიტომ არ ცხოვრობდი ჩვენთან ერთად, რომ სახლი არ გვქონდა-მეთქი. ბავშვმა უნდა იცოდეს ყველაფერი. თუ დავუმალავ, ეს უფრო ცუდად იმოქმედებს მასზე.

სალომე, 50 წლის

დავიბადე თბილისში, ჩაჩავას კლინიკაში, დედისერთა ვარ. ძალიან კარგი მშობლები მყავდა. ვსწავლობდი იმ სკოლაში, რომელშიც ახლა ჩემი შვილი დადის. მატარებდნენ მუსიკაზე, ცურვაზე. ვერ ვიტყვი, რომ ცუდი ბავშვობა მქონდა. ძალიან განებივრებული ბავშვი ვიყავი, მაგრამ ყოველთვის რაღაც უკმაყოფილების შეგრძნება მქონდა, რაღაც მეტი მინდოდა ცხოვრებისგან, მაგრამ ამას არ გამოვხატავდი. ძალიან მიყვარდა ჩემი მშობლები და მათგანაც იმავეს ვღებულობდი.

სკოლა რომ დავამთავრე, მინდოდა, უცხო ენათა ინსტიტუტში ჩამებარებინა, ენების შესწავლა მეხერხებოდა. პირველი, რაც ვისწავლე ჩემით ბავშვობაში, რუსული იყო, ალფავიტი მომცა დედამ; სამსახურში რომ მიდიოდა, ბებიასთან მტოვებდა. სკოლაში

რომ მივედი, ასე, თამაშით, უკვე ვიცოდი წერა-კითხვა რუსულად და ქართულად. მერე ინგლისურზე შემიყვანეს. თუმცა, ახლობლების ჩარევით, უცხო ენათა ინსტიტუტის ნაცვლად, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე ჩავაბარე. დამთავრებული მაქვს ფილოლოგიიის მეორადი ფაკულტეტი, მუსიკაზეც დავდიოდი. უნივერსიტეტში ჩაბარებამდე დავამთავრე მუსიკალური კოლეჯი.

უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად ვმუშაობდი, ჯერ ერთ-ერთ სამინისტროში - ჟურნალისტად, მერე უნივერსიტეტის კათედრაზე - მეთოდისტად, კოლეჯში - პედაგოგად. მერე მამას ორჯერ ინსულტი დაემართა, დედას დიაბეტი ჰქონდა, ამის ფონზე თირკმლები დაუზიანდა და გადავიყვანე ინსულინზე. მინდოდა თუ არა, სახლში უფრო მეტი დრო უნდა გამეტარებინა. ამიტომ ავიყვანე მოსწავლეები რუსულში, თან უნივერსიტეტშიც ვმუშაობდი კათედრაზე. მაშინ ლარები ახალი შემოსული იყო და 6 ლარი მქონდა ხელფასი. ამ ფულით ვერაფერს ვიზამდი. მოსწავლეებისგან აღებული ფული მშველოდა. ფაქტიურად, მთელ ოჯახს მე ვარჩენდი, რადგან დედასაც ექიმი სჭირდებოდა და მამასაც. ბაზარშიც მე დავდიოდი, აფთიაქშიც, გადასახადებს პენსიით იხდიდნენ ჩემი მშობლები და ასე, რაღაცნაირად გაგვქონდა თავი.

სკოლის დამთავრებიდან თითქმის 20 წელი იყო გასული, ჩემს მომავალ მეუღლეს რომ შევხვდი. თანაკლასელები ვიყავით. სკოლაში სწავლის პერიოდში მის მიმართ დადებითი დამოკიდებულება არ მქონდა. **ჩემს ცხოვრებაში ეს კაცი რომ გამოჩნდა, ეკლესიაში დავდიოდი, სანთლებს ვანთებდი, რომ ცოლად არ გავყოლოდი. ძალიან ცუდი აურა აქვს. შემოვიდა თუ არა სახლში, თითქოს ირგვლივ ჩამობნელდა. კარგს არაფერს ველოდი მისგან. ბავშვობიდან ხომ ვიცნობდი, ვინ იყო და რა იყო. დედამისი ნანახი არ მყავდა, სკოლაში სულ ბაბუამისი დადიოდა. მას შემდეგ, რაც ამდენი წლის მერე შემთხვევით შევხვდი, ყოველდღე დაიწყო ჩემთან სიარული, ღამის პირველ საათზე მოდიოდა ნასვამ მდგომარეობაში.**

როგორც მე გავთხოვდი, ამას გაყოლა არ ერქვა. თავისი რაღაცები გადმოიტანა ჩემთან, ცოლად გამომყევიო, არც უთქვამს, უბრალოდ, ღამით რჩებოდა. ერთ დღეს ნასვამი რომ მოვიდა, დავურეკე ჩემს მომავალ დედამთილს და ვუთხარი, წაეყვანათ. დაიტოვე შენთანო, მიპასუხა. მე ვუთხარი, ვისთან დავტოვო ეს ნასვამი კაცი, სახლში ორი ავადმყოფი მოხუცი მყავს-მეთქი. მერე დავურეკე მის ძმას და წაიყვანა. ჩემთან რომ მოდიოდა, სულ ვცდილობდი, გავსულიყავი სახლიდან, მაგრამ ყოველთვის სად წახვალ ღამის პირველ საათზე.

ამის მერე თავისი ნათესავები გამაცნო, მაგრამ ყველაფერი ეს ძალით ხდებოდა. სულ ჩემს ბინაში ვცხოვრობდით, მის სახლში მხოლოდ ერთხელ დავრჩით, ისიც იძულებით წამიყვანა. შემდეგ ბავშვი გვეყოლა. ჩემი მეუღლე ფულს არასოდეს მაძლევდა, მაქსიმუმ - კვირაში 10 ლარი დაეტოვებინა. საჭმელი თვითონ მოჰქონდა. მის საზოგადოებას ვერ ვიღებდი, მაგრამ ამას არასოდეს ვაგრძნობინებდი. ახალი გათხოვილი ვიყავი, ჩემმა დედამთილმა რომ მითხრა, შენი ყვრიმალები არ მომწონსო. ჩემი შვილი სამი წლის რომ გახდა, მაშინ გავხდი ავად, წამიყვანეს საავადმყოფოში და იქ დამისვეს დიაგნოზი.

ჩემი მდგომარეობა იმ გარემოს ბრალია, სადაც მომიწია ცხოვრება. სულ ძალადობდნენ ჩემზე. დედამთილი თუ დარჩებოდა ჩვენთან ღამით, შემოდიოდა ჩვენს ოთახში და ღამის პირველ საათამდე ჟურნალს კითხულობდა. ეს ძალიან მაღიზიანებდა, მაგრამ ვერაფერს ვამბობდი, რადგან მეორე ოთახში ავადმყოფი დედაჩემი და მამაჩემი იყვნენ, დიდი ხანი ვეღარ იცოცხლებდნენ და არ მინდოდა, გამენერვიულებინა. სამშობიაროდან რომ გამოვედი, ამის შემდეგ განსაკუთრებული ზეწოლა დაიწყო ჩემზე, დედამთილი გამუდმებით დამცინავად მექცეოდა, ხშირად ბავშვთან ურთიერთობის საშუალებას არ მაძლევდა. შვილი რომ მეყოლა, ისევ მინდოდა ბავშვების მომზადება, თუნდაც ერთის; ქმარი ფულს არ მაძლევდა, ქალი ვარ და, იქნებ, ელემენტარული რაღაცები მჭირდებოდა. უარი მითხრეს. მე რომ დამოუკიდებელი ვყოფილიყავი, არ უნდოდათ და არ მომცეს ამის საშუალება.

ყველაფერი ეს დაგროვდა და გავხდი ავად. ჩემმა მეუღლემ რაღაც ნემსი გამიკეთა. იმ ნემსის მერე უფრო მოვდუნდი. მამიდაჩემი ლოცვებს მიკითხავდა. ბავშვის ნახვა ვითხოვე და შორიდან დამანახეს, არ დამაჭერინეს. არ ვიცი, ვინ დამინიშნა ეს ნემსი, ან რა ნემსი იყო. მერე უკვე საავადმყოფოში წამიყვანეს მამიდამ და მეუღლემ. იქ დადგინდა დიაგნოზი - დეპრესია. **10 დღე ვიწექი საავადმყოფოში, იქ მნახულობდა ჩემი ქმარი. მერე ჩემი ბიძაშვილი მოვიდა და გამომიყვანა საავადმყოფიდან. სახლში რომ მოვედი, ბავშვის ნახვა მოვითხოვე. მითხრეს, რომ ორი კვირა მაინც უნდა მომეცადა, ჯერ მე უნდა გავმხდარიყავი კარგად. ორი კვირის მერე მივედი ბავშვთან, მაგრამ არ გამომატანეს. დედამთილს ჰყავდა და თითქმის ამიკრძალეს ბავშვთან კონტაქტი. ერთხელ, ბავშვის სანახავად მისულს, დედამთილმა ცემაც კი დამიპირა. რაკი მათთვის სასარგებლოდ არ ვლაპარაკობდი, ეს ნიშნავდა, რომ ცუდად ვიყავი.**

საავადმყოფოდან რომ გამოვედი, ბავშვი ითხოვდა, დედამ მაჭამოსო. დედამთილი არ მაცდიდა, ერთხელ დამსვა კუთხეში და მაყურებინა, თვითონ როგორ აჭმევდა. ხალხის დასანახად უფლებას მაძლევდა, მივსულიყავი, მაგრამ, მეორე მხრივ, ბავშვს რომ ჩემთან ყოფნა უნდოდა, ამას იგნორირებას უკეთებდა, არ მაძლევდა კონტაქტის საშუალებას. ამ შემთხვევაში სამი წლის ბავშვზე იყო ფსიქოლოგიური ზეწოლა. **ჩემი**

დედამთილი ერთმანეთის გამომრიცხავ რაღაცებს აკეთებდა. მთხოვდა, მივსულიყავი, ხოლო როცა მივდიოდი, კარებს მიკეტავდა და პოლიციას ურეკავდა, რომ იქიდან მოვეშორებინე. ერთხელ მეზობელი დამეხმარა და წამომიყვანა.

იყო პერიოდი, როცა ბავშვს თავად არ ვნახულობდი. ეს მაშინ ხდებოდა, როცა საავადმყოფოდან ახალი გამოსული ვიყავი; ვერიდებოდი, არ ვენახე, რომ შვილს ასეთი არ დავმახსოვრებოდი.

ასეთ სიტუაციაში ვიყავი, როცა ჩემმა ქმარმა სხვა ქალი მოიყვანა ცოლად. მერე ვკითხე, რატომ გინდოდა, შენი შვილის დედა სხვა ქალი ყოფილიყო-მეთქი. მითხრა, არ მინდოდა, უდედოდ გაზრდილიყოო. ამ დროს მე ცოცხალი ვიყავი, საღ-სალამათი, მაგრამ ის ადამიანად არ მთვლიდა. თითქოს არ შეიძლებოდა, რომ ჩემთან ბავშვი მოეყვანა. ამის მერე რამდენჯერმე სცადა შერიგება. ბავშვი მოჰყავდათ ხოლმე. როცა ცუდად ვხდებოდი, საავადმყოფოში მაწვენდნენ. ექიმი ეუბნებოდა ჩემს ქმარს და დედამთილს, რომ ჩემთვის ბავშვი უნდა ეჩვენებინათ. როცა მოიყვანდნენ, თვითონაც იქ იყვნენ ხოლმე, მაქსიმუმ 5-10 წუთს აჩერებდნენ და მიჰყავდათ.

ერთადერთხელ გამომატანეს ჩემი შვილი, როდესაც ჩემი მეუღლე მეორე ცოლს შორდებოდა. როცა ბავშვის სანახავად მათთან მივდიოდი, მეუბნებოდნენ, გაიპარე, რომ ბავშვმა არ დაგინახოს, როგორ მიდიხარო. ბავშვი ძალიან განიცდიდა ჩემს წამოსვლას და იმიტომ. მერე ზაფხულში დასასვენებლად ისე წაიყვანეს ბავშვი, არ ვიცოდი, სად იყო. შემეშინდა, დავურეკე მეუღლეს, მითხრა, სადაც წაეყვანათ და ჩავაკითხე. ბავშვმა ცივად შემომხედა, ყურადღებაც არ მოუქცევია, დაშინებული იყო. იმ ოჯახში კიდევ მეორე ბავშვი იყო და იმას გამოველაპარაკე. ჩემმა შვილმა ტირილი დაიწყო, მოვიდა, ჩამეხუტა, მეუბნებოდა, არაფერი არ მინდა, დედა, ოღონდ ჩემთან დარჩიო. მერე მთელი ღამე მეფერებოდა, მეძებდა, გულზე თავს მადებდა, რომ არ გავპარულიყავი. სკოლაში რომ დაიწყო ბავშვმა სიარული, ვიფიქრე, ასო-ბგერებს მე ვასწავლი-მეთქი, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს.

ჩემი დედამთილიც და ქმარიც ყველანაირად მაგრძნობინებდნენ, რომ მე ბავშვთან ურთიერთობა არ შემეძლო, რადგან საავადმყოფოში ვიწექი. ახლაც ამას მეუბნებიან. საერთოდ, ჩემი მეუღლე ხშირად მეჩხუბებოდა, მაგინებდა, მიყვიროდა.

როდესაც მეუღლესთან დაშორებული ვიყავი, იყო შემთხვევები, რომ მედიკამენტები მჭირდებოდა და ყიდვის საშუალება არ მქონდა. იმის გარდა, რასაც მაძლევდნენ, სხვაც უნდა მეყიდა და ამას ხან ვახერხებდი, ხან - ვერა. მეზობლები მყავს ძალიან კარგი და რამდენჯერმე მათ მიყიდეს წამალი. ახლა სულ მაქვს, ერთ-ერთი ცენტრი მეხმარება.

ჩემს მდგომარეობაზე ლაპარაკს სხვებთან თავს ვარიდებ, იმიტომ რომ არ ვიცი, როგორი იქნება საზოგადოების დამოკიდებულება ჩემი დიაგნოზისადმი. მუშაობაც ვცადე ერთ-ერთ კომპანიაში. ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ფულის გადახდა არ უნდოდათ და მუშაობას თავი დავანებე. ცოტა ხანს ვსწავლობდი კიდეც, სხვათა შორის, ძალიან წარმატებულად, პედაგოგებიც კმაყოფილები იყვნენ, მაგრამ მერე თავის დანებება მომიხდა. გზის ფული არ მქონდა ხოლმე, ხუთი ლარი მაინც მინდოდა დღეში, სახლიდან მოშორებით მიწევდა სიარული და რამდენიმე ტრანსპორტის გამოცვლა მჭირდებოდა. ჭამაც ხომ მინდოდა, ბავშვთანაც ხომ უნდა წავსულიყავი სკოლაში და ამდენს ვეღარ ვახერხებდი.

ახლა მარტო ვცხოვრობ, მდგმურები მყავს ხოლმე და 400 ლარი მარტო მათგან მაქვს შემოსავალი.

ერთხელ მარტო ვიყავი სახლში და ჩემი მეუღლე მოვიდა ვითომდა შესარიგებლად. იმ პერიოდში მდგმურები არ მყავდა. დარჩა ღამით, ტელევიზორი ჰქონდა ჩართული და უყურებდა. იძულებულს მხდიდა, სახლიდან გავსულიყავი. რამდენჯერმე იყო ასეთი შემთხვევა. **სექსუალური ძალადობის შემთხვევაც ყოფილა, როცა გაშორებული ვიყავი. მაიძულებდა ხოლმე, მასთან დავწოლილიყავი. რომ შევწინააღმდეგებოდი, არ ვიცი, რა იქნებოდა. ერთხელ ქვემოთ დავხვდი მილიციას და ვთხოვე, ესა და ეს ნომერი მანქანა არ შემოუშვათ-მეთქი.**

ახლა მარტო ვცხოვრობ. ჯანმრთელობის მხრივ, ძალიან კარგად ვარ. ვოცნებობ, რომ ჩემს შვილთან ერთად გავიღვიძო, მასთან ერთად დავიძინო, წყნარი და მშვიდი ბავშვი გაიზარდოს, ყველაფერი გავუკეთო, განათლებული, ჭკვიანი, სერიოზული ადამიანი იყოს, კარგი მეგობრები ჰყავდეს, მღეროდეს; მინდა, ცურვაზე ვატარო, კბილის ექიმთან მივიყვანო. მინდა, ძალიან დიდი მეგობრობა გვაკავშირებდეს, ყველაფერში მენდობოდეს, სჯეროდეს ჩემი და მე ყველანაირად მხარში ვედგე.

ნანა, 45 წლის

დავიბადე თბილისში. მამა სტუდენტი იყო, დედა კი - დიასახლისი. მამა ავადმყოფობდა და ძალიან ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამ დროს მე ცხრა წლის ვიყავი, დედაჩემი კი ჩემს მეორე დაზე იყო ორსულად. მერე დაიბადა ჩემი და. ვცხოვრობდით თბილისის ერთ ძველ უბანში. ბებიაჩემი ძალიან მძიმე ხასიათის ქალი იყო და მამის გარდაცვალების შემდეგ მძიმე დღეში აგდებდა დედაჩემს. ამიტომ დედა იძულებული

გახდა, ამხანაგობაში თანხა შეეტანა ნათესავების დახმარებით. ბინა ავიშენეთ ქალაქის გარეუბანში. ძალიან რთულ პირობებში ვიყავით. მახსოვს რაღაცები იმ მძიმე პერიოდიდან - კარგ სახლში რომ ვცხოვრობდით უცებ სივიწროვეში აღმოვჩნდით.

დედა არ გვაგრძნობინებდა უმამობას, ძალიან ბევრს მუშაობდა და წვალობდა. ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ გვესწავლა. მამის სურვილი გავითვალისწინე და პედაგოგიური დავამთავრე, მიუხედავად იმისა, რომ მე ეს არ მინდოდა. ძალიან კარგად ვხატავდი და ვოცნებობდი, არქიტექტორი გავმხდარიყავი. ეს ყველაზე კარგი წლები იყო ჩემს ცხოვრებაში.

საკმაოდ გვიან, 90-იან წლებში აღმომაჩნდა ფსიქიკური პრობლემები, იქამდე ვმუშაობდი, ვცხოვრობდი, ვზრდიდი შვილებს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხევსურეთში წავედი სამუშაოდ, როგორც პედაგოგი. თავიდან ყველაფერი ძალიან კარგად მიდიოდა, კარგ ოჯახში მოვხვდი, შვილივით მიმიღეს. დედამ გადამიხადა ორი თვის ფული. ორი თვის თავზე დაიწყო ჩემი წამება. ხელფასს არ მიხდიდნენ. პირველი თვის ბოლოს არ მომცეს, ასე გავიდა მეორე, მესამე, მეოთხე თვეც. უკვე ვნერვიულობდი, მაგრამ ჩვენებს არ ვაგებინებდი, რომ არ ენერვიულათ. ამ ყველაფერმა ჩემზე ძალიან იმოქმედა. მგონი, აქედან დაიწყო ჩემი ავადმყოფობა და არა მოგვიანებით, როცა უკვე დამიდგინდა დიაგნოზი და აღრიცხვაზე დამაყენეს.

ამას დაემატა ის, რომ ვიავადმყოფე, რამდენჯერმე გადავიტანე ფილტვების ანთება და ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს. უძილობა დამეწყო, აღარც ვჭამდი. სემესტრის დასრულების შემდეგ წამოვედი თბილისში. მეგობრებისა და ახლობლების გარემოცვაში რომ აღმოვჩნდი, მაშინვე გამოვედი მდგომარეობიდან. საბუთები უნივერსიტეტში შევიტანე და დავიწყე მომზადება ჩაბარებისთვის.

ამ დროს გამოჩნდა ჩემი მომავალი ქმარი, რომელსაც სერიოზულად არც ვუყურებდი, რადგან სხვა ადამიანი მიყვარდა. თუმცა, ისე მოხდა, რომ ბოლოს მას გავყევი ცოლად. მალევე შემეძინა ბავშვი. ძალიან რთული ორსულობა მქონდა, წამებით გავაჩინე შვილი.

უკვე ორივე შვილი მყავდა, როცა შევამჩნიე, რომ ცუდად ვიყავი. საერთოდ, ძალიან მომთმენი ადამიანი ვარ. ორი მაზლი დამხვდა ოჯახში და მამამთილი, მერე ორი ბიჭი შემეძინა, ამდენ ადამიანს ვუვლიდი, ჩემი თავისთვის არ მეცალა. ჩემი ქმარი სულ დამცინოდა. ფიზიკურად ხომ ძალადობდა, ფსიქიკა სულ გამინადგურა. საბავშვო ბაღში მივდიოდი ერთხელ, გამოვიპრანჭე, ჩემს მეგობართან ერთად უნდა გავსულიყავი.

კარალიოკი აიღო და სახეზე მომისვა. მერე სახის კრემი დამასხა; მოკლედ, საშინლად მექცეოდა.

ჩემმა მეუღლემ არ მომცა საშუალება, უნივერსიტეტი დამემთავრებინა. პერიოდულად ვმუშაობდი, ჯერ საბავშვო ბაღში, მერე - მუსიკალურ სკოლაში. ამასობაში მაზლებიც ჩამოვიდნენ ჯარიდან. სტუმრიანი ოჯახი ჰქონდათ. მზე და მთვარე ამოსდიოდათ ჩემზე. ძალიან ვიღლებოდი. ჩემი ქმარი ძალიან მძიმე ხასიათის იყო, მაგრამ სხვები ძალიან დიდ პატივს მცემდნენ. ჩემმა მაზლებმა ერთდროულად მოიყვანეს ცოლები. ერთ სახლში ვიყავით ყველა. ეტყობა, გადავიღალე. მაშინ შევამჩნიე საკუთარ თავს დეპრესია, რომელიც საკმაოდ დიდხანს გამიგრძელდა. არაფრის გაკეთება არ მინდოდა, თუმცა შვილი მყავდა და უნდა მიმეხედა. მთავარი იყო, მომევლო შვილისთვის. სხვა არაფერი აღარ მაინტერესებდა. აი, მაშინ მქონდა ასეთი ნიშნები. ამის მერე წლები გავიდა. მდგომარეობა გამომისწორდა. თუმცა მერე პირიქით მოხდა, აღგზნებული ვიყავი. პირველად ხელი რომ დამარტყა ქმარმა, ჩემი შვილი წლის და სამი თვის იყო. მაშინ ბევრი ფული ჰქონდა და კარგადაც ვცხოვრობდით. თბილისობა იყო. ჩემი ქმარი და მისი ამხანაგები ცოლ-შვილით ერთად ვიყავით. ქალები ვყიდულობდით რაღაცებს, კაცები სვამდნენ. ჩემი ქმარი დათვრა. გზაში მეჩხუბა. სიმთვრალის დროს სხვანაირად იგებდა ყველაფერს. მძიმე ტვირთი გვქონდა. ვუთხარი, ვერ მოვერევით-მეთქი. ორი მეზობელი ბიჭი ჩამოდიოდა ზემოდან. ვთხოვე და აგვატანინეს. შენ ხალხი შემიყარეო, მეჩხუბა. ათასი მანეთი მაშინ დიდი ფული იყო, დაავლო ხელი და წასვლა დააპირა. უნდოდა, თავისი გაეტანა. მე არ ვუშვებდი, რა ვიცოდი, სად მიდიოდა ნასვამი კაცი ამდენი ფულით. ყელზე ვერცხლის ჯაჭვი მეკეთა, ისე მომიჭირა, მერე ჭრილობასავით მეტყობოდა. ახლავე დავურეკავ შენებს-მეთქი. არ გინდაო, მითხრა და ისევ წამიჭირა ყელში. მოვიდნენ ჩემებიც და იმისებიც, ეს კიდევ ჩხუბობდა. ჩემმა ახლობელმა გაარტყა, ქალს ხელი როგორ დააკარეო. იმის მერე ხელი არ მოუკიდია ჩემთვის. სამაგიეროდ, რაც კი მოხვდებოდა ხელში, ყველაფერს ლეწავდა.

უყვარდა რაღაცების მოტანა ბაზრიდან, მაგრამ აღარ მიხაროდა, იმიტომ რომ სულ დამცინოდა. უმძიმესი ხასიათის ადამიანი იყო, საშინელი სიმთვრალე ჰქონდა.

ერთხელ საშინლად მანერვიულა. ზამთარში სარეცხი გარეთ რომ არ შრებოდა, შიგნით მქონდა გაფენილი. ფანჯრის რაფაზე მედო ლობიო. ყველაფერი ძირს ჩამოვყარე. ამ დროს დედაჩემი მოვიდა და ნახა, როგორ გამაგიჟა ამ კაცმა. ზოგადად, მშვიდი ადამიანი ვარ. ასე არასოდეს მოვქცეულვარ. ამის მერე კარგა ხანი გავიდა. დედაჩემი საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ, იქიდან მიგზავნიდა რაღაცებს. პატარა ბაღი ჰქონდა დიღომში, იმას ამუშავებდა და გვთხოვდა, მიმიხედეთო. ჩვენც მივდიოდით ხოლმე და ვამუშავებდით, თუმცა ფეხების ტკივილები ყოველთვის მაწუხებდა.

ჩემი დიაგნოზი რომ გაიგო, ქმრის დამოკიდებულება ჩემ მიმართ უარესობისკენ შეიცვალა; სულ დამცინოდა, აბუჩად მიგდებდა. ოჯახის დანარჩენი წევრები უფრო კარგად მექცეოდნენ. სახლიდან ყველაფერი გაჰქონდა, სულ მატყუებდა. ბევრი ფული გამომტაცა, დედაჩემი ფულს რომ მიგზავნიდა, სულ ეგ მართმევდა. ისეთი შესახედაობა ჰქონდა, ვერავინ იფიქრებდა, რომ მატყუებდა. საოცარი მოყოლა იცოდა, ყველაფერს გაჯერებდა. სულ აფერისტულად მექცეოდა.

შვილები უკვე დიდები იყვნენ, საავადმყოფოში რომ დამაწვინეს. იქ პირველად მამიდაშვილმა წამიყვანა, ექიმები გაგსინჯავენო, მითხრა, და მოტყუებით დამტოვეს. იქამდე კერძო ექიმთან ვიყავი, რომელმაც წამლები დამინიშნა. იმის მაგივრად, რომ დავმშვიდებულიყავი, თავს უფრო ცუდად ვგრძნობდი. თითქმის თვენახევარი ვიყავი პირველად საავადმყოფოში. რომ გამოვედი, უკვე არავისი აღარ მჯეროდა. ყველაფერს ყიდდა ჩემი ქმარი. ავიკიდებდი ბარგს და დავდიოდი აქეთ-იქით, სულ შიშში ვიყავი. თუ რამეს გამომიგზავნიდა დედაჩემი, იმასაც მართმევდა.

სამუშაო ადგილზე არასოდეს მითქვამს ჩემი დიაგნოზის შესახებ. რომ სცოდნოდათ, ალბათ პრობლემები შემექმნებოდა. ახლა აღარ ვმუშაობ. ბოლოს ვიყავი ერთგან დასაქმებული ექვსი თვით, მაგრამ გავცივდი, ხუთი დღე მქონდა ბიულეტენი და მერე აღარ მიმიღეს. იქ იცოდნენ ჩემი დიაგნოზი.

ქმარს ოფიციალურად გავშორდი. ჩემმა ქმარმა გამიყიდა სახლი და ქუჩაში დავრჩი ორ შვილთან ერთად. ძალიან რთული პერიოდი გამოვიარეთ, საჭმელს ვერ ვაჭმევდი შვილებს. დედაჩემმა გაიგო ჩემი მდგომარეობის ამბავი, ჩამოვიდა, ისესხა თანხა და ისე გადამიხადა ყველაფრის ფული. ზამთარში იმდენად ცუდად ვიყავი, სულ დავსივდი, ნერვიულობისგან მთელი ღამეების განმავლობაში არ მეძინა. პურის საყიდლად ყინვაში „შლოპანცებით“ გავდიოდი გარეთ, რომ ჩემს ბავშვებს პური მაინც ეჭამათ. დედაჩემი ჩემთან რომ იყო, მოვსულიერდი. მას ექიმთან დავყავდი.

საავადმყოფოში ექიმების მხრიდან ნაკლებად, მაგრამ პაციენტების მხრიდან მქონდა ხოლმე ზეწოლა. ექიმებს რაც შეეხება, ისინი ზემოდან გიყურებენ. თავიდან ძალიან განვიცდიდი ამას, მერე უკვე ვიცოდი, რა სიტუაციაც იყო და, უბრალოდ, ვაკვირდებოდი. პირველად შედარებით უკეთ ვიყავი, პაციენტებთან არ მქონდა შეხება, როგორც ახლობლის მიყვანილს. მეორედაც მიმიყვანეს, ამჯერად - ოჯახის წევრებმა, მაშინაც იძულებით. უზომოდ განვიცდიდი ამას. ფიზიკური ძალადობაც მახსენდება. რამე თუ დამჭირდებოდა, უხეშად, აგდებულად მექცეოდნენ. ძალიან მიჭირს ამაზე ლაპარაკი.

სულ მაქვს მედიკამენტების პრობლემა, ძვირიან წამალს ვიღებ და დისპანსერი არ მაძლევს. ახლა რომ ვსვამ, ეს წამალი მომიხდა. შარშან ისევ მოვხვდი საავადმყოფოში. დედამ გულის ოპერაცია გაიკეთა, ინფარქტი ჰქონდა. ამაზე ვინერვიულე. კრიზისულ ცენტრში მომცეს ეს **წამალი, რომელმაც ძალიან კარგად იმოქმედა ჩემზე,** ამიტომ მინდა ამის მიღება, მაგრამ **ძალიან ძვირი ღირს, 200 ლარი მაინც მინდა თვეში. ნახევარი ტაბლეტი უნდა მივიღო დღეში, მაგრამ მეოთხედს ვსვამ, რომ დიდხანს მეყოს. აბა, რა ვქნა, უნდა ვიმყოფინო.**

დისპანსერიდან მხოლოდ ერთ წამალს ვიღებ. ერთხელ მივედი და ვთხოვე, მომიმატეთ წამალი-მეთქი. 30 აბზე მეტს ვერ მოგცემთო. ასე რომ, საკმარისი არც ეს წამალი მაქვს. დიღომში მიყიდა დედამ ერთოთახიანი სახლი. ამიტომ სამსახურიდანაც წამოვედი, მიჭირდა ამხელა მანძილზე სიარული. მეზობლებისგან არ მქონია პრობლემა ჩემს დიაგნოზთან დაკავშირებით, ახლობლებთანაც შემიძლია ჩემს მდგომარეობაზე საუბარი, მაგრამ სხვებთან ამ თემაზე ლაპარაკს ვერიდები. ზოგჯერ ვეწინააღმდეგები ხოლმე ჩემიანებს რაღაცებში. **ჩემი და ვერ მიგებს იმ პერიოდში, როცა ცუდად ვარ, მიბრაზდება. არ ესმის, რა საშინელებაა, როცა დეპრესიაში ხარ და შვილებს ვერ პატრონობ. ვერ ხვდება, რომ ამ დროს ასე არ უნდა მომექცეს.** ახლა ხან დედასთან ვარ, ხან შვილთან. რძალმა, მგონი, ბოლომდე არ იცის ჩემი დიაგნოზი, მაგრამ პრობლემები რომ მექმნება და წამლებს ვსვამ, ამაზე აქვს ინფორმაცია. მეც ვუწყობ ხელს ყველანაირად.

ესმა, 55 წლის

თბილისში დავიბადე. სკოლა საჩხერეში დავამთავრე. პროფესიით ექიმი ვარ. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ დავიწყე მუშაობა. ჩემი სამსახურით საკმაოდ კმაყოფილი ვიყავი.

გათხოვების მერე გავიგე, რომ ჩემს ქმარს ძალიან ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. ჩემმა ძმამ ეს რომ გაიგო, შინ წამომიყვანა. იმდენად სწრაფად მოხდა ყველაფერი, რომ ქმრისგან არც კარგი მახსოვს და არც ცუდი.

დედის გარდაცვალების შემდეგ ძალიან ამეწეწა ცხოვრება და საცხოვრებლად თბილისში გადმოვედი. ერთ-ერთ კლინიკაში ვმუშაობდი. ძალიან კარგად მახსენდება ეს პერიოდი. დრო რომ აირია, ეს კლინიკაც დაიხურა და პროდუქტებით დავიწყე

ვაჭრობა. ამ დროს უკვე ჩემს ძმასთან ვცხოვრობდი თბილისში, მასთან ვიყავი ოფიციალურად ჩაწერილი. მერე მოვიტეხე ხელი და ფეხი და მუშაობა ვეღარ შევძელი. ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მოხვედრის შემდეგ ჩემი ძმის სახლიდან წამოვედი. ძმას არ უნდოდა ჩემი გამოშვება, მაგრამ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო, ალბათ, ცოლის გამო. მეც უკვე აღარ მინდოდა იქ გაჩერება. რძალი ისე მექცეოდა, როგორც მოისურვებდა, სულ მეჩხუბებოდა, თუმცა, ხელით არასოდეს შემხებია.

ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ერთ-ერთ პანსიონატში გადამიყვანეს, სადაც ძალიან ცუდი პირობები იყო. სულ ვწერდი წერილებს და სხვა ინსტიტუციაში გადაყვანას ვითხოვდი. ყველანაირად ცუდ სიტუაციაში აღმოვჩნდი, საშინელი უსუფთაობა იყო, თანამშრომლებიც გვცემდნენ და ბენეფიციარებიც.

ახლა ბევრად უკეთ ვარ. თუმცა, ახლა ყველაზე მეტად მჭირდება კომპიუტერის შესწავლა. მინდა, კომპიუტერის საშუალებით ჩემს ახლობლებს დავუკავშირდე. ამდენი ხანია, აქ ვარ და იმის საშუალებაც კი არა მაქვს, რომ დაველაპარაკო. საერთოდ აღარ მოდიან ჩემს სანახავად და ძალიან მწყდება გული. კომპიუტერი თუ მექნება, იქნებ, უფრო ხშირად ვეკონტაქტო. მინდა, როგორმე ისევ ჩემკენ მოვაბრუნო, მათთან ერთად მინდა ცხოვრება. რატომ უნდა გავწყვიტო მათთან კონტაქტი, ისინი ხომ ჩემთვის ყველაზე ძვირფასები არიან.

ყველაზე მეტად იმაზე მწყდება ცხოვრებაში გული, რომ არავინ აღარ დამრჩა. ყველაზე ბედნიერი ალბათ მაშინ ვიყავი, როცა ჩემს ახლობლებთან ერთად ვცხოვრობდი და ვმუშაობდი, ძალიან კარგი და საინტერესო სამსახური მქონდა.

დოდო, 55 წლის

ქუთაისში დავიბადე. ოჯახში მესამე შვილი ვიყავი. სულ სამი და ვართ. უნდოდათ, რომ ბიჭი ვყოფილიყავი, მაგრამ გოგო აღმოვჩნდი. ოჯახთან ერთად ვცხოვრობდი 30 წელი, შვილიც ჩემთან ერთად იყო. 20 წლის გოგო მყავს, ახლა დედაჩემთან ცხოვრობს, ფოთში. ქმარს გაშორებული ვარ.

15 წლის ვიყავი, რომ გავთხოვდი, ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული. მინდოდა, მკერავი გამოვსულიყავი, მაგრამ ვერ მოვახერხე.

თავიდან არ მქონია პრობლემები. 9 წლის ვიყავი, ავარიაში რომ მოვხვდი. ყველას ეგონა, რომ ვერ გადავრჩებოდი. ფეხი დამიტოვეს ასე. ღმერთის წყალობით, გადავრჩი. მერე ძალიან განვიცდიდი, რომ ფეხი ასე დამრჩა. სკოლაში დავდიოდი, 9 კლასი დავამთავრე. ჩემი ქმარი შემთხვევით გავიცანი ქალაქში. მერე მე თვითონ გავშორდი. ოჯახური პირობები ისეთი მქონდა, რომ ჩემი იქ გაჩერება შეუძლებელი იყო. ქმარი ძალიან ცუდად მექცეოდა, მირტყამდა. ასეთი ძალადობის ატანა აღარ შემეძლო. ორსულად ვიყავი, როცა წამოვედი. თბილისში ვიმშობიარე. ერთადერთი, რაც მაცოცხლებდა, იყო შვილი. ახლაც არ ვკარგავ იმედს. **ფსიქიკური აშლილობა მაქვს, მაგრამ ადამიანს კი არ ვავნებ, როგორც დედაჩემმა ჩააწერინა. ეს ტყუილია. პირიქით, არავის არაფერს ვერჩი. ქმარს რომ გავშორდი, ჩემს სახლში დავბრუნდი. დედაჩემი არ მირტყამდა, მაგრამ ხშირად მეჩხუბებოდა.**

ფსიქიატრიულში ზოგჯერ მაწვენდნენ ხოლმე, როცა ოჯახის წევრებს არ ვუჯერებდი. როცა არ ვიქცეოდი კარგად და წავეჩხუბებოდი, მეუბნებოდნენ, აი, ნახე, ფსიქიატრიულში თუ არ დაგაწვინოთო, და მივყავდი. იქ მტოვებდნენ ხოლმე 6 თვის განმავლობაში. მახსოვს, ერთხელ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში დედაჩემმა და ჩემმა დამ წამიყვანეს, პოლიციელიც გვახლდა თან, მაგრამ ექიმმა არ დამტოვა, ამას აქ დასატოვებელი არაფერი აქვსო. **ძალიან ცუდი გასახსენებელია, როგორ მივდიოდი ხოლმე ფსიქიატრიულში. იქ ერთი ექიმი დამხვდა, რომელმაც ძალიან შემიწყო ხელი, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი. ბევრ უსამართლობას შევსწრებივარ. არადა, პირველ რიგში, ავადმყოფების გამოჯანმრთელებაზე უნდა ზრუნავდნენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ღამით პაციენტს წამალი დასჭირვებია და გათავებული ყოფილა. დილამდე დაგველოდეო, ასე იშორებდნენ თავიდან. დილამდე მოვკვდებიო, ეუბნებოდა პაციენტი.** მომეცით, რა, ცხოვრების საშუალებაო, ხშირად იხვეწებოდნენ პაციენტები. ამ დროს სიტუაცია მწვავდებოდა. ხშირად მემუქრებოდნენ, გაჩერდი, თორემ ნემსს გაგიკეთებთო. ყველა საავადმყოფოში ასეთი პრობლემებია. იქ ყველა პაციენტი მძიმე მდგომარეობაშია. ხშირად ბევრ რამეს ვითმენდი და მოგებულიც ვრჩებოდი. ზოგჯერ უხეშადაც მექცეოდნენ. ყველა კარგი ექიმი ხომ არ იქნება.

სად აღარ ვყოფილვარ, თითქმის ყველა ინსტიტუციაში დაძაბულობა იყო. ისეთი გარემო არ მქონია, როგორშიც აქ ვარ. ახლა ბევრად უკეთეს პირობებში აღმოვჩნდი.

ყველაზე კარგი მომენტი ჩემს ცხოვრებაში იყო მაშინ, როცა თავისუფალი ვიყავი. ჩემი შვილი რომ დაიბადა, იმედები გამიჩნდა და ამით ვცხოვრობდი. ამ იმედებიდან ზოგი გამართლდა, ზოგი - არა. ჩემს შვილს ძალიან ვუყვარვარ, ჩემი გულისთვის ყველაფერს გააკეთებს. ძალიან განიცდის, აქ რომ ვარ.

ძალიან კარგი მეგობრები მყავს, მშვენიერი ურთიერთობა მაქვს მათთან. ახლა ვოცნებობ, რომ ჩემი ოჯახი კარგად იყოს, ჩემი შვილი კარგად იყოს, ყველას მხოლოდ სიკეთეს ვუსურვებ. მინდა, ყველა კარგი ადამიანი კარგად ამყოფოს ღმერთმა და ბოროტი ადამიანი სიკეთისკენ მოაბრუნოს.

ძალიან მჭირდება ხოლმე ფული, მაგრამ პენსიას ვერ ვიღებ, რადგან ქმედუუნარო პირად ვარ აღიარებული. მინდა, ყავა და შაქარი ვიყიდო ხოლმე, თუნდაც 30-თეთრიანი ერთჯერადი ყავა, ხან ნამცხვარი, ხან თმის საღებავი, მაგრამ ფული არ მაქვს. მინდა, ჩემს თავს თვითონ მოვუარო. ზოგჯერ გავდივარ გარეთ, ხალხთან კარგი ურთიერთობა მაქვს. ხშირად უხერხულად ვგრძნობ ხოლმე თავს, მაგრამ ამას უკვე ყურადღებას აღარ ვაქცევ. **ძალადობაც აღარ მაღელვებს. არადა, ძალიან ხშირად ყოფილა, რომ ვიღაცას გაურტყამს და ვუცემივარ კიდეც. ახლა უკვე ბრძოლის უნარი გამოვიმუშავე და ვცდილობ, არავინ დამჩაგროს.**

მერვე წელია, რაც სახლიდან წამოვედი. არც მინდა იქ მისვლა, არ მენატრება. პრობლემები მქონდა იმ სახლში და იმიტომ. ყოველთვის ვიღაცა მეკამათებოდა. ამაზე დაწვრილებით ლაპარაკი არ მიყვარს. ეს ძალიან პირადულია. მიმძიმს იმ სირთულეების გახსენება, რაც იქ გადამხდა. აქედან კი არასოდეს წავსულვარ სადმე. დასასვენებლად რომ მიდიან, მაშინაც არ მივყვები.

ჩემი ოცნებაა, ერთ ადგილას ვიცხოვრო, იქ მქონდეს ყველანაირი პირობები, ვიყო იმასთან ერთად, ვინც მიყვარს. ჯერჯერობით ასეთი ადამიანი მხოლოდ ჩემი შვილია. ველოდები, რომ დაოჯახდეს და ბებია გავხდე.

ცხოვრებაში ბევრი რამ სასაცილოც მქონია და სატირალიც, მაგრამ ადამიანი იმისთვის არის გაჩენილი, რომ ბევრი რამ გადაიტანოს ცხოვრებაში, კარგიც და ცუდიც. მე ასე ვთვლი. ნეტა, ყველას გული გაუხაროს ღმერთმა. მინდა, ვიცხოვრო ისე, როგორც სხვები ცხოვრობენ და სულ დაძაბულობა არ იყოს ჩემ გარშემო.

თინიკო, 53 წლის

დავიბადე თბილისში. დამთავრებული მაქვს თბილისის 41-ე საჯარო სკოლა, სკოლასთან არსებული შვიდწლედი, ქორეოგრაფიული სასწავლებელი, დავდიოდი პიონერთა სასახლეში მხატვრულ კითხვაზე.

ბავშვობა მქონდა ძალიან კარგი, არაჩვეულებრივი. რას წარმოვიდგენდი, რომ ბედისწერა ასეთ მძიმე დაავადებას დამმართებდა. უდარდელი და ლაღი ბავშვი ვიყავი, ხშირად ჩავდიოდი ბებიასთან, ჩხოროწყუს რაიონში. გვიჭირდა, მაგრამ დედა მუშაობდა, შვილებს არაფერს გვაკლებდა, ფუტკარივით შრომობდა. საერთოდ, ძალიან მშრომელი მშობლები მყავდა. საუბედუროდ, მამა ორი წლის წინ გარდამეცვალა, დედა 80 წლისაა. თავს დავკანკალებ და ვეუბნები, დიდხანს უნდა გაცოცხლო-მეთქი. გაჭირვებაში კიდევ უფრო კარგად დავინახე დედა, **დედამ არ დამტოვა მარტო. დანარჩენმა ყველამ გამწირა, ჰო, კიდევ შვილს არ უღალატია ჩემთვის.**

დედა 45 წლის განმავლობაში მუშაობდა ღვეზელების საცხობში, ყველაფერი ეხერხებოდა, იყო დამლაგებელი, აკეთებდა პილმენებს, ხინკალს, კარტოფილის ღვეზელს. ლამაზად გაზარდა შვილები ჩვენმა დედამ, მაგრამ ძალიან გაწვალდა, შვილები არ ჰყავდა კარგად, ჩემს ძმასაც ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები და მეც. შვილს რამე რომ სტკივა, დედა ძალიან იტანჯება.

ეს დაავადება მე დამეწყო 20 წლიდან, ღრმა დეპრესიით. ბევრს ვკითხულობდი, ძალიან ბევრს. ვაბარებდი თბილისის პედაგოგიურ ტექნიკუმში. რეპეტიტორი არ ავიყვანე, ჩემით ვემზადებოდი, მაგრამ ყოველ წელს მაკლდებოდა ქულები. მაშინ აღმომაჩნდა ფსიქიკური პრობლემები და მოვხვდი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. პირველად სადაც მიმიყვანეს, ნორმალური პირობები იყო, მაგრამ სულ მეშინოდა, ექიმებს გლდანის დაწესებულებაში არ მოვეთავსებინე, რადგან მის შესახებ ძალიან ბევრი უარყოფითი მესმოდა. იქიდან რომ გამომწერეს, კიდევ ვაბარებდი გამოცდებს და მეორედ მოვხვდი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში. **დილით გავდიოდი ხოლმე წიგნებითა და სპორტული ჩანთით და გვიან შემოვდიოდი შინ. ჩათვალეს, რომ მე ისევ მჭირდებოდა მკურნალობა, მოულოდნელად გამოუძახეს სასწრაფოს და გლდანის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მომათავსეს.** იქ ვკითხულობდი ტოლსტოის „აღდგომას“. ორი მკურნალი ექიმი მყავდა. ერთ არანაირ დანიშნულებას არ მაძლევდა, მეორე კი ძალიან მაწვალებდა. რომ მეკითხებოდა, რა რიცხვიაო, ნორმალურად ვპასუხობდი. მერე მეკითხებოდა, რატომ მოგიყვანეს, რისთვის მოგიყვანესო, არ ვიცი-მეთქი. დღეში 24 აბ წამალს მაძლევდნენ და ოთხ ნემსს მიკეთებდნენ. საუბედუროდ, კბილები აღარ შემრჩა. აბა, 24 აბს რომ დაგალევინებენ დღეში, რა იქნება. **ერთ-ერთი ექიმი გამომიძახებდა და მეკითხებოდა, აბა, ტოლსტოის „აღდგომაში“ მთავარი მოქმედი პირი ვინ არისო, და აკვირდებოდა ჩემს ქცევებს. მე ნორმალურად ვპასუხობდი. ჩემი**

მკურნალი ექიმი თავში მირტყამდა, შედი პალატაშიო. სხვადასხვა მუსიკოსების დისკები გვქონდა. ჩართავდნენ და გვეუბნებოდნენ, გამოიცანითო. მე ვცნობდი ხოლმე, ეს „აბბა“ მღერის, ეს „სმოკია“, ეს კიკაბიძე-მეთქი. რომ გამოვიცნობდი, ისევ თავში მარტყამდა, მამცირებდა. ბოლოს ცნობიერება ისე დამიზიანდა, რომ მარტო დედას ვცნობდი. გამიუარესდა მდგომარეობა. პატიმარი კაცები ჩამოჰყავდათ და ქალებთან აცეკვებდნენ. ექიმი აძლევდა ხოლმე ნებართვას, რომ ქალებთან ეცეკვათ. დიდი დავიდარაბის შემდეგ ახალ წელს გამომიშვეს.

საავადმყოფოდან რომ გამოვეწერე, დისპანსერში დავდიოდი წამლების მისაღებად და ჩემი ქმარი იქ გავიცანი. ჩემს ქმარსაც ფსიქიკური პრობლემები აქვს. მერე დავოჯახდით, როგორც ხდება - დავინიშნე და ქორწილი გვქონდა. ასე გავთხოვდი. მალე შვილი გავაჩინე, მაგრამ ჩემი ქმრის სახლიდან ამ დროს უკვე წამოსული ვიყავი. ჩემი ქმარი ჩემთან ცხოვრობდა. ფაქტიურად, მაიძულეს წამოვსულიყავი. ჩემს მაზლს შვილი არ ჰყავდა. ბიჭი რომ შემეძინა, გადაწყვიტა, რომ მისთვის უნდა მიმეცა, მე კი სხვა გამეჩინა. მე არ გავაკეთე ეს. რაც გამაჩნდა, ყველაფერი დავტოვე ქმრის სახლში, სადაც ცხოვრების უფლებას არ გვაძლევდნენ, რაღაც სახელოსნო გამოგვიყვეს და იქ ვიყავით, საშინელ სუნში. ჩემი ქმარი ახლაც იქ ცხოვრობს. ბავშვი სამი წლის მყავდა იქიდან რომ წამოვედი. ჩემი მაზლი სულ მეუბნებოდა, ჩემს ძმას ნუ ეტენები, ხომ ხედავ, ვერ გინახავსო. კიდეც დამარტყა, მცემა. მე და ჩემს შვილს საბინაო წიგნაკში არ გვწერდნენ, ავდექი და მოვიპარე წიგნაკი, რომ ჩემი შვილი ჩაწერა მაინც მომეხერხებინა. მამამთილის გარეშე არ ჩაწერეს, ამიტომ მოვედი და ის წიგნაკი ისევ უკან დავდე. ოჯახში გაიგეს წიგნაკის ამბავი და მაზლმა ამის გამო დამარტყა. მერე მეზობელი შემოვიდა და დანით დამემუქრა - წიგნაკი ადგილზე დადეო. შვილის გამო ვაკეთებდი ამას. ცალკე დედამთილი მცემდა. ერთხელ ცხვირში ჩამარტყა. წავედი მერე მამაჩემთან, წამიყვანეს პოლიციაში, მაგრამ პოლიცია არ გამოგვყვა, ეს გოგო ფსიქიკურად დაავადებულია და ჰალუცინაციები აქვსო. ამ დროს ბავშვი სამი წლის მყავდა, ინსპექტორმა თქვა, ეს შარიქაძეების რძალია, გიჟები არიან ცოლიც და ქმარიცო. ჩემი მაზლის ცოლი არის პედაგოგი. ამიტომ ამბობდნენ პოლიციაში, არ იქნება მართალი, იმ ოჯახში ამას არ უზამდნენ, არ დაატყამდნენო. მერე მამამ აიყვანა ჩემი სამი წლის შვილი და წამოგვიყვანა სახლში.

ჩემი შვილი მამაჩემის სახლში გაიზარდა. ჩემი რძალი და დედა მეხმარებოდნენ შვილის გაზრდაში. მე სულ რესტორნებსა და სასადილოებში ვმუშაობდი. სამსახურში კარგად მეპყრობოდნენ, არ იცოდნენ, რომ დაავადებული ვიყავი. 12 წელი წამლები არ მიმიღია, ისე კარგად ვიყავი. მერე დავიწყე არყის სმა და გამიმეორა ისევ. მთვრალმა ვთქვი, ფსიქიატრიულში ვიწექი-მეთქი. ვისთანაც ვთქვი, იმან დირექტორს უთხრა. არავინ

მეხმარებოდა მაშინ. მერე უკვე ვიგრძენი, რომ ძალიან ცუდად ვიყავი, თავს ვეღარ ვაკონტროლებდი, წავედი დისპანსერში და 12 წლის მერე წამალი მოვითხოვე. მომცეს ძალიან ძლიერი პრეპარატი და, ძირითადად, სულ მეძინა. დედა დილით მეჩხუბებოდა, წადი სამსახურშიო. ეგონა, ისევ ნასვამი ვიყავი. მე ვუთხარი, სამსახურიდან გამომიშვეს-მეთქი. **სამსახურიდან რომ მიშვებდნენ, მითხრეს, შენ თურმე ფსიქიატრიულში იწექი, თანაც, ვინც აქედან მიდის, უკან აღარ ვაბრუნებთო. მერე სხვაგან ვიშოვე ადგილი, ჭურჭლის მრეცხავად დავიწყე მუშაობა. იქაც არავინ იცოდა, რომ ავად ვიყავი და უკვე წამლებს ვსვამდი.** ამ დაწესებულებაში პერიოდულად ვმუშაობ ხოლმე, საბანკეტო დარბაზია და, როცა შეკვეთები აქვთ, მივდივარ ხოლმე. **ერთმა გოგომ იცის მარტო, რომ საავადმყოფოში ვიწექი, დირექტორმა არ იცის.**

მარტოხელა დედად ვითვლებოდი. ქმარმა სამშობიაროში არ მომაკითხა. ვინერვიულე და რძე გამიშრა. ჯანმრთელი შვილი რომ გავუჩინე, მერე ხელი მოაწერა ჩემთან და გვარიც მომცა. ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო, მაგრამ სულ ვმუშაობდი და ამიტომ სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდი. სკოლაში რომ შევიყვანე, ჩემს ქმარი მიაკითხავდა და ჩემი ნებართვის გარეშე ინტერნატში გადაჰყავდა, მე ინტერნატიდან ისევ სკოლაში ვაბრუნებდი. ასე დაამთავრა ცხრა კლასი. მე დროდადრო ვხვდებოდი ფსიქიატრიულში, ხან ჩემი ნებით ვწვებოდი, როცა სუიციდის მცდელობები მქონდა ხოლმე. ბოლოს ნიშადურის სპირტი დავლიე და ექვსი თვე ვიწექი ფსიქიატრიულში. ჩემი შვილი უნიჭიერესი ბიჭი იყო, იუმორის გრძნობა ჰქონდა, სულ კუდში დამდევდა, სადაც მივდიოდი, მომყვებოდა. ბინის პრობლემა მქონდა. ამიტომ ერთი წელი წავედი საზღვარგარეთ სამუშაოდ. ცუდად გავხდი იქაც, ნოსტალგია დამეწყო, დეპრესია. 14 საათს ვმუშაობდი დღეში. ისევ სმა დავიწყე. რაც ვაგროვე, დედაჩემსა და ჩემს ძმას გამოვუგზავნე. რომ ჩამოვედი. იმ ფულიდან არაფერი დამხვდა. ერთი ოთახი კი დამიმტკიცეს, მაგრამ ეს ჯანმრთელობის ფასად დამიჯდა. სამწუხაროდ, ვერ შევძელი, ჩემი შვილისთვის განათლება მიმეცა. მისი თანატოლები ყველანი სწავლობდნენ. მას მხოლოდ ცხრა კლასის განათლება აქვს. ჩემი ბიჭი მერიაში თავისით წავიდა, დაწერა განცხადება და მეეზოვის ადგილი იშოვა. მუშაობდა და ჰქონდა 550 ლარი ხელფასი. სულ მივლიდა, დილით რომ მიდიოდა, მიტოვებდა წამლებს, ყოველთვის იცოდა, რა დროს რა უნდა დამელია და მირეკავდა ხოლმე, რომ შეეხსენებინა. ქართველების თავმოყვარეობის ამბავი ხომ იცით, ჩასჩიჩინებდნენ, რა გინდა, მენაგვედ რომ მუშაობ, ახალგაზრდა ბიჭი ხარო. ამან ეს ვეღარ აიტანა და დაუნებებია თავი. მატყუებდა, ვერ მითხრა. დილით დგებოდა, ვითომ სამსახურში მიდიოდა. უფასო სასადილოს მომსახურება გამიკეთა და საჭმელი იქიდან მოჰქონდა ხოლმე.

მამამთილმა ცნობა აიღო ფსიქიატრიულიდან, რომ ჩემი ქმარი არის ფსიქიკურად შეურაცხადი და ჩემი მაზლი დაუნიშნეს მეურვედ, რომელიც თავის ძმას არ პატრონობს. ის ისევ სახელოსნოში ცხოვრობს, რძალი საჭმელს თუ მიაწვდის ხოლმე ხანდახან. ჩემი ქმარი დარდობს, მის ძმას რამე რომ დაემართოს, სულ უპატრონოდ დარჩება. ჩემთანაც არ უშვებენ. მე მამაჩემის სახლიდან წილი მაქვს, საბუთიც მაქვს, რომ მამამ ერთი ოთახი მაჩუქა; მაგრამ ჩემი ძმა იძახის, ჩემო დაო, შენ იყავი, მაგრამ შენი შვილი აქ ცოლს ვერ მოიყვანსო. მე კი არავისთან არ მინდა დავა.

დღესდღეობით უფასო სასადილოს მომსახურებაც მომეხსნა. მე და დედას ისე გვიჭირს, რომ პურის ფულიც არა გვაქვს, პენსიებით გაგვაქვს თავი. ჩემი ძმა არ გვეხმარება, მასთან მარტო ტელევიზორის საყურებლად თუ შევალ ხოლმე. ჩემს ქმარს უნდა ცოლ-შვილთან ცხოვრება, მაგრამ ჩემი შვილი მაფრთხილებს, რომ შეიძლება უარეს მდგომარეობაში ჩავვარდე, თუ მას შევურიგდები. ახლა ოთახი მაინც მაქვს ჩემი ძმის სახლში. ჩემს ძმას ჯერ არა აქვს მიღებული მემკვიდრეობა, ახლა ცდილობს, რომ თავის სახელზე გაიფორმოს სახლი, სანამ დედა გარდაიცვლება. მე რაც მეკუთვნის, იმაზე არ მედავება, მაგრამ არ უნდა, რომ ჩემმა შვილმა ჩემთან იცხოვროს, ამბობს, მამამისთან წავიდესო, მაგრამ ჩემი შვილი მეუბნება, ახლა იქ როგორ წავიდე, მთელი ცხოვრება შენთან ერთად გავატარეო. ჩვენ საჭმელი გვინდა, გარეცხვა გვინდა და მარტო კაცებმა რა გავაკეთოთო. ჩემს მაზლი კიდევ ჩემი იქ მისვლის წინააღმდეგია.

ამ ბოლოს რომ გამომწერეს საავადმყოფოდან და შინ დავბრუნდი, დილის ხუთ საათზე ვდგებოდი ხოლმე. ჩემი ძმა საჭირო ოთახში როცა გამოდიოდა, ხედავდა, რომ შუქი იყო ანთებული, მაგინებდა, ჩააქრე შუქიო. მე ვტიროდი და დედას ვაღვიძებდი ხოლმე. ერთ ოთახში ვცხოვრობთ მე და დედა. ვტიროდი, რატომ მაგინებს-მეთქი. დედა მეუბნებოდა, იმიტომ გაგინებს, რომ ამ დროს უნდა გეძინოსო. ვეუბნებოდი, ვეღარ ვჩერდები ლოგინში, რა ვქნა-მეთქი.

ახლა სამსახურს ვეძებ. იმედია, ჩემი რესტორანი მაინც ამუშავდება. კარჩაკეტილობა არ ვარგა. დილით ადრე მეღვიძება, სახლს ვალაგებ, იატაკებს ვრეცხავ, ქათმები მყავს, გარეთ გამოვუშვებ, ეზოს დავგვი, ნაგავს გადავყრი, სარეცხს ვრეცხავ. ყველა მეუბნება, არ გეტყობა, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები გაქვსო.

წამლებზე ორი დღე დავდიოდი და ვერ ვიღებდი, დიდი რიგებია. ამასაც უნდა მიექცეს ყურადღება. წამალს ნომრებით გასცემენ. ნომერს გვაძლევენ, მაგრამ მაინც ცოცხალ რიგში გვიწევს ჩადგომა, დღეში დაახლოებით სამოცი პაციენტი უნდა გაისტუმრონ. ორი დღეა, დავდივარ და ძლივს ავიღე გუშინ. წამალი რომ არ დავლიო, ისევ საავადმყოფოში მოვხვდები, დაავადება უკვე ქრონიკულში გადამეზარდა. ბოთლით დამაქვს წყალი,

წამალი დამისველდა, დამატებით ხუთი ცალი მომცეს. არ მეყო, წავედი, გამოვაწერინე რეცეპტი და ვიყიდე. ფული არ მქონდა და ძლივს ვიშოვე სასესხებლად. ადრე საერთოდ არ იყო წამლები. რატომაა ახლა ასეთი ამბავი ატეხილი-მეთქი, ვიკითხე. იმიტომ რომ თვის ბოლოა და წამლები თავდებაო. მეც თვის ბოლოს მივედი და მარტო ერთი წამალი იყო დარჩენილი. **ოთხი დასახელების წამალი მჭირდება და მარტო ერთი მომცეს. რომ არ მეყიდა, მდგომარეობა გამირთულდებოდა.** თვის 10 რიცხვიდან წამლები აღარ იქნება; ექნებათ მარტო ციკლადოლი.

ხათუნა, 25 წლის

დავიბადე ლაგოდეხში. დაბადებისთანავე გამგზავნეს ბავშვთა სახლში, სამი წლის მერე სხვა დაწესებულებაში გადამიყვანეს. სამჯერ შემიცვალეს პანსიონატი. ერთ-ერთ პანსიონატში სამუშაოს ვარიანტი იყო და მოვითხოვე დასაქმება. მინდოდა, სამსახური მქონოდა. თურმე ბენეფიციარების დასაქმება არ შეიძლებოდა, ამიტომ უარი მითხრეს. მეორე წელია, უკვე ამ პანსიონატში ვცხოვრობ და შედარებით კმაყოფილი ვარ.

პირველ დაწესებულებაში, ძირითადად, პრობლემას ქმნიდა ის, რომ ჩვენი გარეთ გაშვება არ შეიძლებოდა, გვცემდნენ. კატასტროფული სიტუაცია იყო, მოყოლაც არ მინდა. ყველანაირად შეზღუდულები ვიყავით. თუ თვითონ სურდათ, მხოლოდ მაშინ გვიშვებდნენ გარეთ. მერე იყო ხოლმე გაუგებრობები; მაგალითად, მეგობრის სანახავად თუ გავიდოდი, მეჩხუბებოდნენ, რას ქვია, გარეთ გახვედიო. **დირექტორიდან დაწყებული, ყველა უფროსი იყო, ყველა გვირტყამდა. შეშინებული ჩიტებივით ვიზრდებოდით, ხელს რომ აუქნევ და გაფრინდებიან.**

მეორე პანსიონატში რომ გადავედი, აზრიც შემეცვალა, დამრიგებელი გამიჩნდა. იქ ცემა აღარ იყო, ყველაფერი ვისწავლე, მოვინდომე, სწავლა შემოიღეს, გამოფენები იმართებოდა. ძალიან დამაინტერესა გობელენების კეთებამ. სკოლაში არ დავდიოდით, ადგილზე გვასწავლიდნენ. წინა პანსიონატში არაფერს აკეთებდნენ ცემის მეტს. ჩვევებიდან რაც მახსოვს, არის ჰიგიენის დაცვა, რომელიც დღემდე მომყვება. რეჟიმი იყო ისეთი, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა. ისე, სწავლებას გააჩნია. რას ასწავლი, ამას ხომ დიდი მნიშვნელობა აქვს.

მშობლებთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. ახლა ძალიან კარგად ვარ. ყველანაირად მიწყობენ ხელს. საკუთარი სახლი მინდა, ეზო რომ ჰქონდეს, ისეთი, მაგრამ სად არის.

ახლა მომვლელად ვმუშაობ. შემიძლია თმის შეჭრა, დალაგება. აქ არანაირად არა ვარ შეზღუდული, ის კი არა, მუშაობა რომ მოვინდომე, ყველა გვერდით დამიდგა.

სწავლა მინდოდა იურიდიულზე, მაგრამ, სამწუხაროდ, პატრონი არ მყავს. ადვოკატობაზე ვოცნებობდი. მეგობრებს ვუმხელდი ამ ჩემს ოცნებას.

ახლა კარგად ვარ, თუმცა კიდევ მაქვს ერთი ნატვრა, რომელიც ჯერჯერობით ვერ ავისრულე - პირველ რიგში, მინდა, საკუთარი ჭერი მქონდეს, მერე ყველაფერი იქნება. გარეთ რომ გავდივარ, ზოგი სხვანაირად, შეცოდებით მიყურებს და ეს არ მომწონს. უცხო ადამიანი ასე რომ შემომხედავს, დეპრესიაში ვვარდები. ნაცნობებმა იციან ჩემი ამბავი, ჩემი მდგომარეობა და მათთან ურთიერთობის არ მრცხვენია.

ახლა რაც მომწონს, ვყიდულობ. იქამდე, სხვა პანსიონატებში რომ ვმუშაობდი, ფულს არ მაძლევდნენ. ამიტომ ჩემთვის ვერაფერს ვყიდულობდი. ფულს ადმინისტრაცია იღებდა.

ძალიან მწყდება გული, რომ მეგობრებთან ურთიერთობას მიშლიდნენ. მინდოდა, მათ გვერდით ვყოფილიყავი და არ მქონდა ამის უფლება. არადა, იმ ადამიანებისგან, ვისთან ურთიერთობაც მინდოდა, ძალიან დიდ სითბოს, სიახლოვეს ვგრძნობდი.

ძალიან ცუდად მახსენდება ის, რომ მირტყამდნენ, მაგრამ მე არა მაქვს უფლება, ვინმე განვსაჯო. სიხარულით ამავსო სამსახურმა. ამ სამსახურის საშუალებით ყველა დარდი დავძლიე. თუკი რამე ცუდი მახსოვდა და გულში მქონდა შენახული, თითქოს ყველაფერი გაიფანტა.

ქეთინო, 28 წლის

ამ პარასკევს მაქვს დაბადების დღე. თბილისში დავიბადე, ბავშვთა სახლში მიმატოვა დედაჩემმა. სრულწლოვანი რომ გავხდი, სხვა დაწესებულებაში გადამიყვანეს, სადაც სულ მცემდნენ, კედელზე სულ თავს მარტყმევინებდნენ, მუდმივად შიშში ვცხოვრობდი. ერთი პერიოდი დამლაგებლად ვმუშაობდი. **ჩემი ნამუშევრის ანაზღაურებას რომ ვითხოვდი, მცემდნენ. მახსოვს, ერთხელ შამპუნი მოვითხოვე და თმები გადამპარსეს, რას ქვია, შამპუნს ითხოვო. მე ვუთხარი, გოგო ვარ და ბევრი რამე მჭირდება-მეთქი. ეს როგორ გაბედეო, ფეხებით ჩამომკიდეს და ისე მირტყამდნენ. რომ მეძინა, მაშინაც კი მცემდნენ. როგორია, როცა გძინავს, ვიღაცა შემოგივარდება და**

უმიზეზოდ გირტყამს. რომ ვეკითხებოდი, რატომ მირტყამთ-მეთქი, ასეთი დავალება გვაქვსო. მერე ვეუბნებოდი ხოლმე, შვილები მაინც არ გყავთ, ასე რომ მექცევით-მეთქი. კი გვყავს, მაგრამ რასაც გვავალებენ, ჩვენც იმას ვაკეთებთო. **ვეუბნებოდი, არ გეშინიათ, როცა გავიზრდები, რომ გიჩივლოთ-მეთქი. არა, შენ წერა-კითხვა მაინც არ იცი და ვერაფერს გვიზამო. სულ ვუმეორებდი, დადგება დრო და გიჩივლებთ-მეთქი.**

მერე მოხდა ისე, რომ კარგმა ადამიანებმა გაიგეს ჩვენი მდგომარეობის, ჩვენი ტკივილების შესახებ, გაიგეს, როგორ გვაწამებდნენ და სხვა დაწესებულებაში გადმოგვიყვანეს. აქ უკეთესი სიტუაციაა, არავინ გვცემს. ახლა უფრო მიკვირს, როგორ ვცხოვრობდი იმ პირობებში. გასვლა თუ მომინდება გარეთ, გავდივარ. როცა ხანდახან რამეს ყიდვა დამჭირდება, ვინმე მომყვება. მარტო რომ წავიდე, დავიკარგები. იყო ხოლმე მომენტები, ვერ მომიგნია სახლისთვის. მაშინ დავრეკავდი და ძიძას მოვყავდი. ჩემი ტელეფონი მაქვს.

რაღაც პერიოდი ერთმა ოჯახმა მიშვილა. 12 წლის ვიქნებოდი. წელიწადნახევარი ვიცხოვრე მათთან. მერე დაიწყეს ძალდატანება და ცემა. თავიდან ძალიან კარგად მექცეოდნენ, თავზე მევლებოდნენ, ამას გიზამთ, იმას გიზამთო, მპირდებოდნენ. მეც დავიჯერე, მაგრამ მერე უკვე სულ შენიშვნებს მაძლევდნენ. **შარვალი გაიხადე და კაბა ჩაიცვიო, თავიდან ამით დაიწყეს და არ მომეწონა, ვთქვი, ამას ვერ ავიტან-მეთქი. რატომ მაძალებთ, ხომ შემპირდით, კარგად მოგექცევითო. მერე ჩემს დედობილს თავისმა დამ ტვინი აურია, ეს შენ არ გამოგადგებაო. დამიმალეს შარვალი, გინდა თუ არა, კაბა ჩაიცვიო. ეს გავაპროტესტე. მე ეკლესიური ვარ და ასე უნდა გააკეთოო. თუ ეკლესიური ხარ, მაშინ ძალადობა არ შეიძლება-მეთქი. თმები რატომ გაქვს გრძელი, შეიჭერიო. მერე წამიყვანეს კომისიაზე, სურათი გადამიღეს, უნდოდათ, ჩემთვის პენსია გაეკეთებინათ და თვითონ აეღოთ. მოკლედ, ჩემი პენსიის წართმევა უნდოდათ. მე უარი ვთქვი.** ვუთხარი, რომ თავად ვიყავი პასუხისმგებელი ჩემს პენსიაზე. მერე მომპარეს პირადობა. საბუთზე ხელი რომ მომეწერა, პენსიას ის ოჯახი აიღებდა. არ მოვაწერე ხელი. მერე დაიწყო დავა და კამათი. სოცმუშაკთანაც შეთანხმებულები იყვნენ. ახლა რომ დავინახო ისინი, არ ვიცი, რა დამემართება. თუმცა, პირადობა მაინც მომპარეს და იძულებული გავხდი, ახალი ამეღო.

რომ ვეტყოდი, დასაბანად წყალი მინდა-მეთქი, უარს მეუბნებოდნენ. მათი შვილი თუ არ ჩამოვიდოდა, წყალს არ უშვებდნენ. ოთახში ვიბანდი გაჭირვებით. სოცმუშაკი რომ მოვიდოდა, იმას ეუბნებოდნენ, აბაზანაში იბანსო. სანამ მათი შვილი თბილისიდან ჩამოვიდოდა ხოლმე, დაუბანელი უნდა ვყოფილიყავი. **ზამთარში, ძალიან რომ ციოდა, ცეცხლის დანთებას ვთხოვდი ხოლმე, მაგრამ არასოდეს ანთებდნენ და საყინულეში მეძინა, სულ ვკანკალებდი ხოლმე. სოცმუშაკს ვეუბნებოდი, მაგრამ არ მიჯერებდა.**

ბოლოს აღარ უნდოდათ, მათთან მეცხოვრა და უკან დამაბრუნეს, მაგრამ დაწესებულებაში აღარ მიღებდნენ, რადგან უკვე ოჯახში ვიყავი გადაყვანილი. თუმცა, ბოლოს, სახელმწიფოს ჩარევის შემდეგ, მიმიღეს ერთ-ერთ პანსიონატში. უკან დაბრუნებამდე ოჯახის წევრებმა მიმიყვანეს სხვა დაწესებულებაში, რაღაც წამალი მქონდა გაკეთებული და მთლად გათიშული ვიყავი. იქ რამდენიმე დღე გამაჩერეს, მერე წამოვედი. **ძველ დაწესებულებაში კიდევ უფრო განადგურებული დავბრუნდი, ვიდრე წასვლამდე ვიყავი. რაც კი ოჯახში ცხოვრების პერიოდში შევაგროვე, იძულებული გავხდი, ყველაფერი იქვე დამეტოვებინა.**

ოჯახში ცხოვრების პერიოდი ჩემთვის რთული იყო არა მარტო იმიტომ, რომ ასე ცუდად მომექცნენ, არამედ იმის გამოც, რომ სწორედ მაშინ გადამხდა თავს საშინელი ისტორია. ერთ ღამეს რაღაც ხმაური გავიგონე. ვიფიქრე, ქარია-მეთქი. ამ დროს პირი ამიკრეს, რომ არ მეყვირა და არ მებრძოლა. ძალადობდნენ ჩემზე. მიშველეთ, მიშველეთ-მეთქი, მაინც შევძელი დაყვირება. ოჯახის ყველა წევრს ეძინა. ჩემს ხმაზე გაეღვიძათ. დავრეკეთ პატრულში, ვუთხარი, რაც ხდებოდა. მაშინვე მოვიდნენ და დაიჭირეს ის კაცი. წამიყვანეს ექსპერტიზაზე. იქ თქვეს, რომ ქალიშვილი ვიყავი. ჩალურჯებები მქონდა, საშინლად ნაცემი ვიყავი. ის კაცი მეზობელი იყო ჩვენი; იცოდა, რომ პანსიონატიდან ვიყავი გამოსული და ეგონა, ყველაფერზე თავს დავუქნევდი, მაგრამ ასე რომ არ მოხდა, მერე დაიწყო ძალადობა. მე წინააღმდეგობა გავუწიე. დღემდე მეშინია. არ მიყვარს, სადმე რომ მიწევს წასვლა.

სრულწლოვანი ვიყავი, ჩემი ნამდვილი ოჯახი რომ მომიძებნეს და იქ წამიყვანეს. ჯერ მითხრეს, დედაშენი და მამაშენი ცოცხლები არ არიან და თუ წახვალო. ვკითხე, და-ძმა თუ მყავს-მეთქი. გყავსო, მიპასუხეს. მოკლედ, გავყევი. ძალა დამატანეს, დიდად არ მინდოდა, იმიტომ რომ არა ვარ ოჯახში გაზრდილი და ოჯახური გარემო არ მინახავს. თან ვიცოდი, რომ დედაჩემმა ბავშვთა სახლში დამტოვა. შევხვდი დედაჩემს, ცოცხალი ყოფილა. შვილო, მაპატიე, რომ მიგატოვეო, მითხრა. არაფერი მიგრძნია, ისეთი გათიშული ვიყავი. მერე წამიყვანეს და-ძმებთან, იმათ კიდე, აქ როგორ მოიყვანეთო. მერე გადავრეკე, ეს არის თქვენი პირობა-მეთქი? თქვენ ხომ მითხარით, კარგად შეგხვდებიანო. პირიქით, ძალიან ცუდად მექცევიან-მეთქი. **დედაჩემმა მომკიდა ხელი და დაურეკა ჩემს დირექტორს, როგორც მოიყვანეთ, ისე წაიყვანეთო. მე რომ მდომებოდა, აქ გაიზრდებოდა, იმიტომ მივატოვე, რომ ავადმყოფი და ხეიბარი იყოო.** მასწავლებელს, რომელმაც საკუთარი ოჯახი მაპოვნინა, დედამ უთხრა, რატომ მომძებნეთ, აუცილებლად გიჩივლებთო. მერე ძალიან ცუდად ვიყავი. დაახლოებით სამი თვის განმავლობაში საჭმელს არ ვჭამდი, გარეთ გამოსვლა არ მინდოდა, სულ ვტიროდი,

რატომ დამემართა ასე, რატომ გამომიყენეს-მეთქი. მე ხომ არ მინდოდა მშობლების ნახვა, გულმა მიგრძნო, თუ რა იყო, არ ვიცი.

ჩემმა დეიდაშვილმა და ჩემმა მშობლებმა იკამათეს, იქ რომ ვიყავი; თუ არ გინდოდათ, რატომ მოიყვანეთ, ახლა ამას უფრო გაუჭირდებაო, ეუბნებოდა ჩემი დეიდაშვილი. სწორედ მაშინ ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა. ჩემმა რძალმა დაუწყო ლაპარაკი, აქ არ გააჩერო, თორემ ყველაფერს გაგინადგურებსო. მერე ისევ დამაბრუნეს უკან. **იმის მერე ძილი რა არის, არ ვიცი, დღემდე ვერ გამოვედი მდგომარეობიდან. სულ გულში ვიკლავ ამ დარდს, ეს ტკივილი არასოდეს მომშორდება. ხანდახან ფსიქოლოგს ველაპარაკები, მაგრამ ჩემს გულს ვერავინ უშველის, იმიტომ რომ დარდით მაქვს სავსე.**

ახლა წამლებს ვსვამ, საშინელი უძილობა მაქვს. ფსიქიატრს დაველაპარაკე და დამინიშნა წამალი. ცოტა უკეთ ვარ. ცხოვრებაში წამალი რა იყო, არ ვიცოდი, მაგრამ მშობლების გამო დამემართა ნევროზი. არ ვიცი, მეშველება თუ არა ოდესმე და გამოვალ თუ არა მდგომარეობიდან. ჩემით ვრეკავ ხოლმე სასწრაფოში და ჩემით მივდივარ სამკურნალოდ. რამდენჯერ დამირეკავს, არა ვარ კარგად და დამეხმარეთ-მეთქი. მეუბნებიან, არ წახვიდე, არ გინდაო, მაგრამ მაინც წასვლა მირჩევნია. იქ მშველიან. უნდა გამოვიდე მდგომარეობიდან, თორემ შეიძლება ძალიან ცუდად დავასრულო ცხოვრება. ახლა დაბადების დღე მაქვს და არ ვიცი, დამირეკავენ თუ არა. აქამდე არასოდეს დაურეკავთ. ჩემს მეგობრებსა და თანამშრომლებს თუ გავუხარებივარ, თორემ სხვას არავის. მე და ჩემს დას გვაქვს ამ პარასკევს დაბადების დღე. ტყუპისცალი და მყავს. არ ვიცი, როგორ უნდა აიღოს ხელში ჭიქა, რომ მე არ დამლოცოს.

საავადმყოფოში კარგად მექცევიან, ძალიან კარგი სიტუაციაა. როცა რამეს ვეუბნები, მისმენენ. ვსვამ წამალს, არც ვაგდებ, არც ვაპროტესტებ. ახლაც ცუდად ვგრძნობდი თავს, მზად ვიყავი, ჩემი დაბადების დღე საავადმყოფოში გამეტარებინა, მაგრამ მერე ჩვენი ფსიქიატრი მელაპარაკა და ახლა უკეთ ვარ. ეს ყველაფერი დედაჩემის გამო დამემართა.

სკოლაში არასოდეს მივლია. პანსიონატში მყავდა მასწავლებელი, მაგრამ იმას კი არ გვეუბნებოდა, ისწავლეთო, სულ გვცემდა. ხანდახან მიფიქრია, რატომ ვერ ვისწავლე-მეთქი. ალბათ ტვინი გადამეკეტა. ახლა მინდა, მაგრამ არ გამომდის. ნერვებიც აღარ მყოფნის. ჩემს ოთახს ვალაგებ, ჩემს ნივთებს ვაწესრიგებ, სხვას არაფერს ვაკეთებ. კომპიუტერი მაჩუქეს და იმით ვერთობი, სმაილებს ვგზავნი ხოლმე. მერე ვფიქრობ, ხომ არ ვაწუხებ ხალხს ამდენი სმაილებით-მეთქი. როგორ მინდა, იცით, წერა-კითხვა ვიცოდე, მაგრამ ახლა ვეღარ ვსწავლობ. ხანდახან სერიალებს ვუყურებ.

ბევრი დაქალი მყავს, ოღონდ აქ არ ცხოვრობენ. ახლა ველოდები, ჩემს დაბადების დღეზე თუ არ მოვლენ, ჩემი გული უფრო დაიტანჯება. დამირეკეს და მითხრეს, მოვალთო, მაგრამ რა ვიცი. აქ ნამცხვარი კი მექნება, მაგრამ იმას რა ჯობია, დაქალი რომ გაგიხარებს გულს. თუ არ მომილოცავენ, დიდად არაფერი დამაკლება, მაგრამ რომ მოვიდოდნენ, მაინც სულ სხვა იქნებოდა. მათი ნახვა ძალიან მინდა.

ჩემი ოცნება, ვიცი, არასოდეს ახდება, მაგრამ მაინც ვიტყვი. ოჯახში რომ გავზრდილიყავი, პოლიციელი გამოვიდოდი. ახლა რაღა დროსია ამაზე ლაპარაკი. ძალიან კარგი პოლიციელი ვიქნებოდი, საქართველოს დავიცავდი, მაგრამ არ მოხერხდა. ახლა ერთადერთი სურვილი მაქვს - მამაჩემის ნახვა მინდა. ნეტავ, ისე არ მოვკვდებოდე, რომ ის არ ვნახო. ოჯახში რომ ვიყავი, ფაქტიურად, ვერ შევხვდი, სულ მიმალვაში იყო. რამე რომ გამიჭირდეს, მინდა, თავზე მადგეს ვინმე. სახელმწიფო კი დამეხმარება, მაგრამ დედასა და მამასავით ვინ გიპატრონებს. სულ ამაზე ვფიქრობ. ცალკე ცხოვრებას არასოდეს ვინატრებ. იმის მერე, რაც გამოვიარე, მეშინია. **მირჩევნია, პანსიონატში ვცხოვრობდე, რომ ისევ ძალადობის მსხვერპლი არ გავხდე. გარეთ მარტო გასვლისაც კი მეშინია.** სიგარეტის ყიდვა რომ მინდა, მაშინ გავდივარ ხოლმე აქვე, მაღაზიაში.

სოფელში მყავს ერთი მეგობარი, ძალიან გულიანი გოგოა. ზოგიერთს კი არ ჰგავს, გვერდითაც რომ არ დაგიყენებენ. გარეთ თუ არ გავდივარ, სულ მირეკავს, ცუდად ხომ არ ხარო. ვეუბნები, არაფერი მიჭირს-მეთქი. მაინც არ სჯერა ხოლმე და მოდის.

რომ დავფიქრდები, მარტო აქაურობა მახსენდება კარგად, იქამდე - არაფერი. აქ არავინ მავიწროებს. რამდენიმე ადამიანს ვუზიარებ ჩემს გულისტკივილს, სულ იმას ვიძახი, ეს რა დამემართა-მეთქი და ესენი მამშვიდებენ.

სხვებს ვეტყოდი, რომ ძალადობა საერთოდ არ უნდა იყოს. რაც მე გავიარე, ის სხვებმა არ უნდა გამოსცადონ. სხვა მხრივ, როგორიც ვარ, ისეთი დავრჩებოდი.